ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 21 თებერვალი, 2022 | №36 (8814) | ფასი: 60 თეთრი

## ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩვენთვის პრიორიტეტული იყო მიუნხენის კონფერენცია — დავადასტურეთ მტკიცე მხარდაჭერა უკრაინელი მეგობრებისადმი“

გვ.2



# „ოცნება“ რატომ არ იჭერს კორუფციულ სქემებში გასვრილ გახარიას?!“

გვ.2



**თაკო ჩარკვიანი:** „როცა ალიანსს 20 ივნისის დამნაშავეებთან გააკეთებ, ვერც იქნება ამ საქმის კომისია ინიცირებული“



## „ქართული ოცნება“ კლოუნადით ცდილობს მნიშვნელოვანი საკითხების გადაფარვას“

გვ.2



ლევან ალაფიშვილი: „რუსთავის არჩევნებზე ორივე მხრიდან „კუნთების თამაში“ იქნება“

გვ.3



## „ქართულ ოცნებას“ ძალიან მძიმე დღეები დაუდგება, შეიძლება შუბლით დაეჯახოს პუტინს“

ალექსი პეტრიაშვილი: „ოპოზიციას ვურჩევ, კობახიძის ანკესზე ნუ წამოეგებიან, საკუთარი დღის წესრიგი შექმნან“

## „რუსეთი ჩვენთვის არც მიმზიდველია და არც საიმედო მეზობელი“

ამირან სალუქვაძე: „ფართომასშტაბიან საომარ მოქმედებებს არ ველოდები, გართულებები იქნება ლუგანსკისა და დონბასის მიმართულებით“

გვ.4



გვ.4

## „რეგიონის ყველა ქვეყანამ პატივი უნდა სცეს ერთმანეთის სუვერენიტეტს“

მუსტაფა შენთოფი: „თურქული ბიზნესის წარმომადგენლებს არასდროს უთქვამთ უარი საქართველოში მოღვაწეობაზე“



გვ.3



## ანზორ აბრალავა: „სააკაშვილის დაკავების დღიდან, ოპოზიცია აღარ ამბობს, მთავრობა უნიათოაო“

ISSN 1987-9385

**5** გამკაცრდა პნევმატური იარაღის ბრუნვასთან დაკავშირებული წესები

**5** უცნობმა „მთავარ არხს“ სასამართლოში უჩივლა

**6** ზელენსკი პუტინს შეხვედრას სთავაზობს

**5** ქალმა საქართველოს 2 მოქალაქეს აშშ-ში გადაყვანისთვის 15.168 ლარი მოტყუებით გამოართვა

# „ოცნება“ რატომ არ იჭერს კორუფციულ სქემებში გასვრილ გახარიას?!“

## თაკო ჩარკვიანი: „როცა ალიანსს 20 ივნისის დამნაშავეებთან გააკეთებ, ვერც იქნება ამ საქმის კომისია ინიცირებული“

იაგო ნაცვლიშვილი

**რატომ იწუნებს ნიკა მელიას სტრატეგიას? რატომ ეწინააღმდეგება ნაციონალური მოძრაობის და გახარიას პარტიის თანამშრომლობას? და რატომ ფიქრობს, რომ ხალხი აქციას გამართავს და პოლიტიკოსების ნაწილს იქ არ მიუშვებს? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პარტია „კანონი და სამართალის“ ლიდერი თაკო ჩარკვიანი საუბრობს.**



— რატომ შევიდნენ პარლამენტში? სანამ პარლამენტი ერთპარტიული იყო, „ოცნება“ ძალიან უხერხულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. გაგახსენებთ, რომ ამის შემდეგ ივანიშვილმა მიმართა დასავლეთს, უთხრა, რომ არაფერი ბოიკოტი ჩვენთან არ არისო. მე ვეყრდნობი იმ მოლაპარაკებებს, რა ურთიერთობებიც მაშინ მე მქონდა დასავლელ პარტნიორებთან. როდესაც შევიდნენ, „ოცნებამ“ თქვა, არავითარი ბოიკოტი ჩვენ აღარ გვაქვსო. ერთი ნაციონალური მოძრაობა და დამოუკიდებელი დეპუტატი თამარ ჩარკვიანი არ შემოდისო. ანუ, ის უკვე ერთპარტიული აღარ იყო.

რანაირი ოპოზიციონერია ელისაშვილი კი ხედავთ. რაში გამოიხატება მისი ოპოზიციონერობა, მითხარით. დამისახელეთ „ოცნებიდან“ ყველაზე ოდიოზური ფიგურა და მზად ვიყავი, რომ თუ ასეთ ვითარებაში საგამოძიებო კომისიას დააყენებდა, მე მას მივემხრობოდი. სად არის მაჩალიკაშვილის კომისია, რატომ ვერ დგება, რა ხდება?! სად არის ის კომისია, რომელიც 20 ივნისის მოვლენებს გამოიძიებდა.

გახარიას პარტიას იმიტომ დავუთმეთ საკრებულოს თავმჯდომარეების თანამდებობა, რომ სარგებელი მივიღეთო, გვითხრა ყველაზე მსხვილმა პარტიამ. რა სარგებელი მიიღო? უარი გვითხრა ამ პარტიამ საგამოძიებო კომისიაზე. მაგიტომ ვთქვი, ველოდები პარტია „ალტინფოსთან“ კოალიციას-მეთქი.

***— რა ალტერნატივას ხედავთ თუ არა ნაცმოძრაობის გახარიასთან თანამშრომლობა? „ოცნებასთან“ შეექმნა კოალიცია?***

— ვინ გითხრათ და საიდან მოიტანეთ, რომ „ოცნება“ არ არის გახარია?! ვერ ვიტან ჭორაობას. მინდა თანმიმდევრული ვიყო. 2007-2009 წლები ნათია მეზვრიშვილი, იმ ცხრაწლიან პერიოდში იყო პროკურორი ადეიშვილთან. შემდეგ დაწინაურდა ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსად. მოდის 2012 წელი, სისტემა, რომელსაც ჩვენ ვებრძვით, ის სისტემა ვერ ელევა ამ სახელსა და გვარს. იცვლება ყველაფერი, სისტემა ტოვებს ვინმე ნათია მეზვრიშვილს. შემდეგ მოჰყავთ შს მინისტრის მოადგილედ, მოგვიანებით კი პრემიერის ადმინისტრაციის უფროსად. ეს ხდება იმ პერიოდში, როდესაც თვალებს გვთხრიან.

წამოვიდეთ უშუალოდ გახარიაზე. მას უკავშირდება ანაკლიის პროექტის ნგრევა. ეს პირდაპირი კავშირია რუსეთთან. ასევე არის კორუფციულ სქემებში. „ოცნება“ ამბობს, ჩვენი არ არისო, მაგრამ არ იჭერენ ამხელა კორუფციულ სქემებში გასვრილ გახარიას, რომელსაც სისტემის მუდმივი ადამიანი — ნათია მეზვრიშვილი ჰყავს გვერდით. მე მაინტერესებს, ეს არის ოპოზიცია? ხუმრობთ, ხალხო?!

***— მესამე პრეზიდენტიც კი მიესალმა ნაცმოძრაობის და გახარიას თანამშრომლობას და მაშინ რა გამოდის? ცდება სააკაშვილი ამ საკითხში?***

— ადამიანი, რომელიც ციხეშია, ის ვერ დაიწყებს საკუთარი პარტიის გადაწყვეტილებების დამუნათებას. ადამიანი ციხეშია უმძიმეს მდგომარეობაში. არ მაინტერესებს... მე ჩემი პარტია მაქვს და მე ვლაპარაკობ. თუ რაიმე ტყუილია, მითხრან. ვერ გავიგე, ვიღაცა მოკვდა 5 ივლისს, მაგრამ ვიღაცა არ მოკვდა 20 ივნისს და თვალები დასთხარეს მას. ბაჩანა შენგელიას რა პასუხს ეუბნებიან?! ვინ ვის როდის გაურიგდა, ჩვენ ვერ გავიგებთ, მაგრამ მოქმედებით მიხვდები ამას.

***— გია ნოდიაზე ვერ იტყვით ნამდვილად, რომ „ოცნების“ ინტერესების გამტარებელია და მან თქვა საინტერესო ფრაზა, რომ ქართველი პოლიტიკოსები რომანტიზმიდან უნდა გამოვიდნენ და პრაგმატულად მიუდგნენ საკითხებსო და ამ შემთხვევაში ერთადერთი გამოსავალი იყოო? რა პასუხი გექნებათ ამაზე?***

— არ ვეთანხმები არანაირად. პრაგმატულობა რა არის? ამდენი ხანია „კუკლას“ აკეთებს ივანიშვილი. ამით იმყარებს ძალაუფლებას. ამას ვერ ხედავთ?!

***— მაშინ რატომ აქვთ ასეთი აგრესიული კამპანია კობახიძეს და სხვებს გახარიას წინააღმდეგ?***

— კობახიძე გამოვა და იტყვის ჩვენიაო?! შედეგით ვიმსჯელოთ, თორემ რაში მაინტერესებს, რომელი კლანია?! კობახიძის კლანია თუ კალაძის, რაში მაინტერესებს?! მე მაინტერესებს შედეგი. ამდენი ხანი პრემიერ-მინისტრი იყო. გამხდარიყო ოპოზიციონერი პრემიერი, უშლიდა ვინმე?! ყველა ბერკეტი მის ხელში იყო, პრემიერს აქვს ყველაზე დიდი უფლებები და მე მაინტერესებს, რატომ არ გახდა ის ოპოზიციონერი პრემიერ-მინისტრი. ახლა გახდება ოპოზიციონერი?! პატრიოტია? საქართველოსთვის გააკეთა რამე? პირველი პირი იყო, ეგ რომ გამოსულიყო და კაცურად მოქცეულიყო, გმირი იქნებოდა. მე გელაპარაკებით გუშინწინდელ პრემიერ-მინისტრზე.

პრაგმატულად აზროვნებს ხალხი, განსხვავებით ბატონი ნოდიასაგან, რომელსაც არ ვეთანხმები.

***— ხალხი გააკეთებს აქციას და პოლიტიკოსებს არ მიუშვებენ?***

— აუცილებლად. გარკვეულ პოლიტიკოსებს მიუშვებენ, მაგრამ გარკვეულ პოლიტიკოსებს სანატრელი გაუხდებათ იქ მისვლა. მე ასე ვხედავთ. იმიტომ, რომ რაც ახლა ხდება, ეს არის სამართლებრივად ბინძური თამაში. ან ისეთი ქმედებები, რომ მაშინ პოლიტიკაში რა ესაქმებათ?!

***— მელიას ნაბიჯებს იწუნებთ?***

— არა მხოლოდ. მარტო მელია ხომ არაა, მაგრამ უპირველესად მის ნაბიჯებს ვიწუნებ უკვე რამდენი ხანია. რა შედეგი აქვს ამ სტრატეგიას?! ვიხუმრე და გავიმეორებ, ეს არის ოპოზიციის თერმული ბრძოლა. ბევრი ადამიანია ოპოზიციაში, ვინც ჩემ აზრზეა.

***— დაასახელეთ.***

— არიან, მოუსმინეთ. მაგალითად, გუბაზ სანიკიძეს ხომ მოუსმინეთ. სანიკიძეს ყელში ამოადინეს ფრაზა, როცა თქვა, საერთოდ წავალ პოლიტიკიდანო რომ თქვა და იხუმრა, ერთი მილიონი უნდა ვიშოვოო. ყელში ამოადინეს მართლა ლაზღანდარობით ნათქვამი ფრაზა.

***— თქვენ როგორ უყურებთ საკრებულოების თემას, როგორ უნდა გადაწყვეტილიყო?***

— არ მაინტერესებს. რა საკრებულო, რისი საკრებულო, ხალხო?! თავიდანვე არ უნდა დათანხმებოდნენ 43%-იან ზღვარს. შეცდომა იყო. ჩრდილოვანი კაბინეტით რომ მოგვევლინენ და უკან რომ აჩრდილივით იყო ბოკერია... ეს ნორმალური იყო, ამან მოიტანა შედეგი?!

***— ბოკერია რა შუაშია, როცა ბოიკოტის რეჟიმში დარჩა?***

— თავშია ბოკერია და ამას ცოტა ხანში კიდევ დაინახავთ. ყველაფრის გამანადგურებელია თავისი ამბიციური ბუნებით. გამორიცხულია, რომ მან პირველობას მიაღწიოს. „ძალა ერთობაშიას“ ფორმატმა მოიტანა დიდი გამარჯვება და ეს უნდა ყოფილიყო. დომინანტად გრძნობდა ახალ ფორმატში თავს ბოკერია და „ძალა ერთობაშია“ ვერ გრძნობდა.

***— არც იყო ბოკერია „ძალა ერთობაშიაში“.***

— როცა შესთავაზეს, მოდი, შექმნილია და ეს გავაძლიეროთო, უარი თქვა, ახალი გავაკეთოთ და დაიწყო მკვდარი პარტიების გაცოცხლება. იმიტომ, რომ განულებული რუსეთუმე პარტიების მიმხრობით ბოკერია თავად ძლიერდებოდა.

***— მაშინ რატომ დატოვეთ ის ფორმატი?***

— დაიშალა და რა გამეკეთებინა?! შალვა ნათელაშვილთან შეიქმნა ახალი ფორმატი. ეს იმიტომ გაკეთდა, რომ ღირებულებების აღრევა მომხდარიყო. არ შეიძლება კორუფციაზე ელაპარაკებოდე ადამიანს და გვერდით გეჯდეს კორუფციის ბუდეში ჩაფლული, 1 ლარად აგარაკწაღებული, რუსეთთან შეკრული ბურჯანაძე. ვთქვი ეს და გამართლდა, არ გპატიობს ხალხი ორმაგ სტანდარტს.

***— კი მაგრამ, „ძალა ერთობაშია“ თქვენ და გიორგი ვაშაძემ არ დატოვეთ მას შემდეგ, რაც ვაშაძის პრემიერობის საკითხი წამოჭერით?***

— არა, გეშლებათ. როდესაც დაიშალა, მერე წამოვედი. დაანგრიეს და ეს დაანგრია ბოკერიამ. შეიქმნა ნათელაშვილთან გაერთიანება და იცით, რომ მე დავტოვე ის გაერთიანება სწორედ აღრეული ღირებულებების გამო.

***— ყოველ შემთხვევაში, ვაშაძის პრემიერობის თემამ „ძალა ერთობაშიაში“ დიდი ბზარი გააჩინა და მოდი, ვაღიაროთ ეს.***

— არავითარი. ბზარი გააჩინა იმ გაერთიანებამ, რომელიც „ძალა ერთობაშიას“ საპირწონედ შექმნეს და სადაც რუსეთუმეები შემოიერთეს. გიორგი ვაშაძეს, რომელსაც ვიცნობდი, როგორც გრიგოლ ვაშაძის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელს, მასთან ერთად გავაკეთე ბლოკი. როგორც კი მოაწერა ხელი შარლ მიშელის დოკუმენტს და შევიდა პარლამენტში, თამარ ჩარკვიანმა დატოვა ბლოკი. მე ის ერთადერთი ადამიანი ვარ, ვინც შარლ მიშელის დოკუმენტს ხელი არ მოვაწერე. იმიტომ, რომ ამნისტიას არ ვეთანხმებოდი. რატომ არ ვქმნით 20 ივნისის თვალების დათხრაზე კომისიას? — მაინტერესებს.

# „ქართული ოცნება“ კლოუნადით ცდილობს მნიშვნელოვანი საკითხების გადაფარვას“

## ლევან ალაფიშვილი: „რუსთავის არჩევნებზე ორივე მხრიდან „კუნთების თამაში“ იქნება“

ნათია ხურცილავა

**კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***— ბატონო ლევან, ირაკლი კობახიძემ გასულ კვირას განაცხადა, რომ უფრო მეტ დეტალს იტყვის გიორგი გახარიასა და ნაციონალური მოძრაობის თანამშრომლობაზე, თუ ის რუსთავში მხარს დაუჭერს ბადრი ჯაფარიძეს. რას უნდა ველოდოთ? როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს?***

— სიმართლე გითხრათ, ეს უფრო ყურადღების გადატანის მიზნით გაკეთებული განცხადება მგონია, ვიდრე რეალურად რაღაც ინფორმაციის არსებობა და საზოგადოებისთვის მისი მიწოდება. ეს არის ე.წ. სკანდალებზე საზოგადოების დაზაფვრა.

ვხედავთ, როგორ იცვლება მსოფლიო წესრიგი. როგორ იცვლება გეოპოლიტიკური რეალობა ჩვენ თვალწინ და ამ ყველაფერში თავისი როლი და ადგილი უნდა ჰქონდეს საქართველოს, მაგრამ ვხედავთ, რომ ასე არ არის. ხელისუფლებამ ძლივს მიიღო რეზოლუცია, სადაც სიტყვა რუსეთი ნახსენებიც კი არ არის.

***— და ცდილობს ყურადღების გადატანას?***

— დიახ. ეს სრულიად ჩვეულებრივი პოლიტიკური სვლაა, როდესაც ხელისუფლებას თავისი მოქალაქეებისთვის არაფერი არ აქვს სათქმელი, ან სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე უნდა ისაუბროს. უფრო ზუსტად კი, მისი მოგვარების გზები და ხედვები უნდა შესთავაზოს ან ამ ძალიან მნიშვნელოვან საკითხზე უნდა ისაუბროს, როგორიც უსაფრთხოებაა. უკრაინასთან ერთად ერთი ქოლგის ქვეშ უნდა ვიყოთ წარმოდგენილი, რომ ჩვენი უსაფრთხოება სათანადოდ იყოს დაცული მსოფლიო თანამეგობრობის მიერ, მაგრამ, როდესაც არც ერთს და არც მეორეს ვერ აბამს ხელისუფლება თავს, მაშინ ადგილი მხოლოდ ასეთი ინტრიგებისთვის რჩება. თუ არა ეს ე.წ. სკანდალი, „ქართული ოცნება“ საინფორმაციო ველს რითი შეავსებდა?! ამ კლოუნადით ხდება მეტადრე მნიშვნელოვანი საკითხების გადაფარვა.

მართალია, ჩვენ ვრჩებით ჩვენი პარტნიორებისა და საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების ცენტრში უკრაინასთან ერთად, მაგრამ არა ჩვენი ხელისუფლების დიდი შრომის შედეგად და დამსახურებით, არამედ იმ გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო, რომელიც ჩვენს ქვეყანას აქვს.

***— ოპოზიციას რომ დავუბრუნდეთ. დღეს როგორია ოპოზიციის დღის წესრიგი?***

— სამწუხაროდ, ოპოზიციას უჭირს დასკვნების გაკეთება ან საერთოდ ვერ აკეთებს. ყველა რატომღაც თავს კომფორტულად გრძნობს იმ რეალობაში, იმ პარტიულ სისტემაში, რომელიც გვაქვს. ისინი ცდილობენ, ზედაპირის ცვლილებას და არა ძირეულ ცვლილებას.

რომ დავუბრუნდეთ გახარიასა და ნაციონალების თემას, კობახიძემ საზოგადოებას უთხრა, რომ ისინი ერთი კოალიციაა. თუ საერთოდ ერთნი არიან, ეს სასაცილოა, მაგრამ კობახიძე ამას სთავაზობს ხალხს, როგორც მოცემულობას, როგორც უტყუარ ჭეშმარიტებას.



***— ხალხი რამდენად დაიჯერებს?***

— მე არ ვარ ასეთი წარმოდგენის ჩვენს ხალხზე, მაგრამ, როგორც ჩანს, კობახიძე არის. მე არ მჯერა, რომ ხალხი ამას დაიჯერებს. არ მგონია ამან იმუშაოს, მაგრამ საინფორმაციო ველს ხომ აგებს ამაზე?! მორიგი საარჩევნო კამპანია ხომ ამ ფონით უნდა წარიმართოს, ამას გვთავაზობს მმართველი პარტია. მას აწყობს ეს მოცემულობა.

***— კონკრეტულად რუსთავზე გკითხავთ, რადგან ძალიან დიდია ინტერესი. გაუჭირდება ოპოზიციას გამარჯვება რუსთავში?***

— რთული სათქმელია. ერთი მხრივ, „ქართულმა ოცნებამ“ რუსთავი საკრებულოს დონეზე წააგო. დღეს რუსთავში საკრებულო ოპოზიციურია. მეორე მხრივ კი ვნახეთ, რა რეაქცია მოჰყვა ბადრი ჯაფარიძის განაცხადს, რომ ის რუსთავის გავლით აპირებს პარლამენტში დაბრუნებას.

***— რომ ნებისმიერ ფასად მოიგებს „ოცნება“ რუსთავს?***

— დიახ. საერთოდ, არ არის ასეთი „კუნთების თამაში“, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოულოდნელი. გასაკვირი იქნებოდა, ასე რომ არ იყოს. ნებისმიერი პარტია, მით უფრო არჩევნების წინ, ამბობს, რომ ის მოიგებს არჩევნებს. წაგებულის განწყობით არავინ გადის ბრძოლის ველზე. ამიტომ ასეთი დაქადნება გასაგებია. მე სხვა რამე მაღელვებს. ძალიან დიდი დოზით იქნება სახელისუფლო რესურსის მობილიზება. ადამიანების ძალით მიყვანა საარჩევნო ურნებთან. ოპოზიციას კი ამომრჩევლის მიყვანა გაუჭირდება.

თუმცა, განსაკუთრებით რუსთავში, არჩევნების მოგება ადვილი ამოცანა არ იქნება არც ოპოზიციისთვის და არც ხელისუფლებისთვის. საკმაოდ რთული ამოცანის წინაშე დგას ერთიც და მეორეც, რომ ამომრჩეველს არჩევნებზე მისვლის მოტივაცია გაუჩინოს. თუმცა, რთული შეუძლებელს არ ნიშნავს. ვნახოთ.

***— ოპოზიციის წაგება, ზოგადად ამომრჩევლის განწყობებზე ნეგატიურ გავლენას იქონიებს?***

— ვერ ვიტყოდი, რომ ამ არჩევნებზე ასე გლობალურად არის დამოკიდებული პოლიტიკური განწყობები, მით უფრო, ეროვნულ დონეზე. ერთი მოგება ან წაგება ვერ შეცვლის პოლიტიკურ სურათს. თუმცა, რასაკვირველია, ყველა შემთხვევაში გავლენა იქნება. სიმართლე გითხრათ, მე უფრო ის მაინტერესებს, რა მოხდება ბათუმში.

# ირაკლი ღარიბაშვილი:

## „ჩვენთვის პრიორიტეტული იყო მიუნხენის კონფერენცია — დავადასტურეთ მტკიცე მხარდაჭერა უკრაინელი მეგობრებისადმი“



— ჩვენთვის პრიორიტეტული იყო მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციის პლატფორმის გამოყენება ჩვენი ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების კიდევ ერთხელ ხაზგასასმელად, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე წერს.

როგორც მთავრობის მეთაური აღნიშნავს, კონფერენციის ფარგლებში მან შეხვედრები გამართა როგორც პოლიტიკურ ლიდერებთან, ასევე ბიზნესწრეების წარმომადგენლებთან და უმსხვილესი კომპანიების პირველ პირებთან.

— ნაყოფიერი ვიზიტი მქონდა მიუნხენში, უსაფრთხოების 58-ე კონფერენციაზე, სადაც პირადად კონფერენციის თავმჯდომარის, ვოლფგანგ იშინგერის მიწვევით ვიმყოფებოდი. შეხვედრები გავმართე როგორც პოლიტიკურ ლიდერებთან, ასევე ბიზნესწრეების წარმომადგენლებთან და უმსხვილესი კომპანიების პირველ პირებთან. ჩვენთვის პრიორიტეტული იყო მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციის პლატფორმის გამოყენება ჩვენი ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების კიდევ ერთხელ ხაზგასასმელად. უსაფრთხოების კუთხით არსებული გამოწვევების ფონზე, კიდევ ერთხელ დავადასტურეთ მტკიცე მხარდაჭერა ჩვენი უკრაინელი მეგობრებისადმი, ასევე ვიმსჯელეთ ვითარების განმუხტვის გზებზე ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ვიზიტის ფარგლებში გამართული ეკონომიკური შეხვედრები, რადგან ჩვენი ქვეყნის განვითარება, მიმზიდველობის გაზრდა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტი, რათა მოვიზიდოთ რაც შეიძლება მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, გავაძლიეროთ ეკონომიკა და გავხდეთ რეგიონული ჰაბი, — წერს პრემიერ-მინისტრი.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ქართულ ოცნებას“ ძალიან მძიმე დღეები დაუდგება, შეიძლება შუბლით დაეჯახოს პუტინს“

## ალექსი პეტრიაშვილი: „ოპოზიციას ვურჩევ, კობახიძის ანკესზე ნუ წამოეგებიან, საკუთარი დღის წესრიგი შექმნან“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ალექსი პეტრიაშვილი პასუხობს.

***– ბატონო ალექს, უკრაინის მიმართ დღეს ძალიან ბევრი საყვედურობს ხელისუფლებას, რომ მან ულირსი პოზიცია დაიჭირა. რას იტყვით თქვენ ამ ყველაფერთან დაკავშირებით?***

– რაც შეეხება უკრაინასთან დაკავშირებულ პოზიციას, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ხელისუფლების გადამეტებული სიფრთხილე ნამდვილად იწვევს უკმაყოფილებას როგორც ჩვენს მოქალაქეებში, ისე საერთაშორისო თანამეგობრობაში და არ ფასდება პოზიტიურად. იმიტომ, რომ ახლა, ამ დღეებში არ წყდება მხოლოდ უკრაინის ბედი და ეს არ არის მხოლოდ უკრაინის და რუსეთის ურთიერთობების გარკვევის პროცესი. აქ წყდება საქართველოს ბედიც, აქ წყდება ევროპის ახალი უსაფრთხოების არქიტექტურის ბედიც და საბოლოო ჯამში, უკრაინაში წყდება, შეძლებენ თუ არა ავტოკრატიები დაამარცხონ დემოკრატიები. ასევე, შეძლებს თუ არა ისეთი ტიპის მმართველი, როგორიც არის ვლადიმერ პუტინი, აღადგინოს თავისი ექსკლუზიური კონტროლი უკრაინაზე, საქართველოზე, მოლდოვაზე, სამხრეთ კავკასიის სხვა რესპუბლიკებსა და ცენტრალური აზიის რესპუბლიკებზე.

***– მთლიანად გადალაგება მიდის პოლიტიკის და ამ ფონზე საქართველო თამაშგარე სიტუაციაშია?***

– ამიტომაც ვამბობ, საქართველოს ხელისუფლება ფიქრობს და იმედოვნებს, რომ დუმილით, ასეთი ნეიტრალური პოზიციით, პასიური პოზიციით, ცალყბა განცხადებებით, გამოშიგნული რეზოლუციებით, შეძლებს რომ რაღაცნაირად აირიდოს რუსეთის მხრიდან დამატებითი წნეხი, ან მათი გაბრაზება, მაგრამ ეს არის ძალიან გულუბრყვილო მიდგომა. ძალიან მალე კარასინი აპირებს ზურაბ აბაშიძესთან შეხვედრას და მე დარწმუნებული ვარ, ის რასაც რუსეთი ითხოვდა ნატოსგან, ამერიკის შეერთებული შტატებისგან 2008 წლის გადაწყვეტილებაზე უარის თქმას და ხელმოწერილ გარანტიას, რომ არ გაწევრიანდებოდა საქართველო და უკრაინა ნატოში, ამ ულტიმატუმით რუსეთი აუცილებლად მოუტრიალდება საქართველოს ხელისუფლებას და აუცილებლად დაუსვამს საკითხს პირდაპირ, ან ხართ ჩვენ მხარეს, ან ხართ ჩვენ წინააღმდეგ. გვეტყვის, შესაბამისად ჩვენ გვექნება რეაქციები და ვიმოქმედებთ თქვენთან მიმართებაში. მე დარწმუნებული ვარ ამაში, რომ ეს ძალიან მალე მოხდება. ეს არ იქნება მხოლოდ კარასინის გზავნილი ზურაბ აბაშიძესთან. ეს იქნება ღია ტიპის მუქარა, ისეთი, როგორიც იყო გაგზავნილი საერთაშორისო თანამეგობრობის მიმართ. „ქართულ ოცნებას“ ძალიან მძიმე დღეები დაუდგება ამ შემთხვევაში, იმიტომ, რომ ანტისახელმწიფოებრივი გადაწყვეტილების მიღებას არ გაუტარებს ქართველი ხალხი, ხოლო დეკლარირებული ევროატლანტიკური კურსის ერთგულების შენარჩუნების შემთხვევაში, მას მოუწევს რეალურად შუბლით დაჯახება რუსეთის ხელისუფლებასთან.

***– უკრაინასთან დაკავშირებით რას ფიქრობთ? რამდენად ღრმად შეტოპა პუტინმა და ახლა უჭირს უკან დახევა?***

– პუტინმა თავისი გათვლებით, რომელსაც ის აწარმოებს განმარტოებულ და იზოლირებულ მდგომარეობაში, მას სულ რამდენიმე ადამიანთან აქვს კომუნიკაცია და, როგორც ჩანს, მას

### „უკრაინაში სრულმასშტაბიანი შეჭრის შემთხვევაში, პუტინს საკუთარი უახლოესი გარემოცვის ოლიგარქატი გამოუტანს განაჩენს“

რეალობის აღქმა აქვს დაკარგული, ჰქონდა მოლოდინი, რომ ამერიკაში პოლარიზებულია საზოგადოება და ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ჯერ კიდევ არ არის აღდგენილი ძველი ტრადიციული კავშირები, რომელიც წინა ადმინისტრაციის პირობებში დაზიანდა. ავღანეთიდან ქაოტურმა გამოსვლამ, კიდევ უფრო მეტად აფიქრებინა ვლადიმერ პუტინს, რომ დასავლეთი დასუსტებულია და სწორედ ახლა არის ულტიმატუმების დაყენების დრო.

***– მაგრამ შეცდა? ძალიან მტკიცე აღმოჩნდა დასავლეთი.***

– დიახ, ეს იყო ძალიან დიდი შეცდომა. მე ვიტყოდი, რომ ვლადიმერ პუტინისთვის ეს იყო საბედისწერო შეცდომა, იმიტომ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ, ამერიკამ, ევროპამ და ნატომ, ნამდვილად სასიამოვნოდ გასაოცარი ერთსულოვნების დემონსტრირება მოახდინეს.

***– რაც არ ყოფილა საქართველოსთან მიმართებაში...***

– სამწუხაროდ, ასეა, გეთანხმებით. სამწუხაროდ, 2008 წლამდე ამ ტიპის განცხადებები, ამ ტიპის ინტესივობა რომ ყოფილიყო თუნდაც 2008 წლის 7 აგვისტომდე, როგორსაც ვხედავთ ახლა ჩვენ საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან, შესაძლოა რუსეთს არც კი გაებედა სრულმასშტაბიანი სამხედრო ოპერაციის განხორციელება.

***– შეცდომებზე სწავლობენო, ბატონო ალექს. დასავლეთმაც ისწავლა?***

– დიახ, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. თუმცა საკმაოდ დიდი დრო გავიდა. 2008 წლის შემდეგ იყო 2014 წელი, რომელიც ნამდვილად იყო გამოფხიზლების, შემოლაწუნების საერთაშორისო თანამეგობრობისთვის. თუმცა მინსკის შეთანხმების შემდეგ ჰქონდათ იმედი, რომ მეტნაკლებად მაინც შეიძლება რუსეთთან რაღაცა ტიპის ურთიერთობების წარმოება. დღეს დადგა მსოფლიო იმ რეალობის წინაშე, რომ რუსეთის ფედერაციას მართავს იზოლირებული, უკვე საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებაზე ორიენტირებული, პარანოიდული შეხედულებების ადამიანი, რომელიც ახლა სერიოზულად არის კუთხეში მოქცეული.

***– კუთხეში მიმწყვდეული პუტინი უფრო საშიში ხომ არ ხდება? ან რა გამოსავალი აქვს ახლა?***

– ერთადერთი თამაში, რაც მას აქვს დარჩენილი, ეს არის ლუგანსკის და დონეცკის ე.წ. რესპუბლიკების აღიარების და მათი მხარდაჭერის, ანუ ცხინვალის სცენარის გათამაშება. ის, რომ იტყვიან, საათობრივად მიყვება 2008 წლის სცენარს. საერთოდ არაფერი არ შეუცვლია ამ სცენარში და ახლაც არის ბოლო ულტიმატუმების წაყენების რეჟიმში დასავლეთთან, რომ უკან გაიტანოს თავისი შეიარაღება და გაიყვანოს ჯარები და შეწყვიტოს მისი მხარდაჭერა. რაც ისეთივე აბსურდია, როგორიც იყო 2008 წლის გადაწყვეტილების უკან წაღება და გაუქმება. შესაბამისად, ჩვენ ვხედავთ, რომ რჩება ერთადერთი გზა და ეს გზა არის ამ დეენერის და ევენერის ე.წ. რესპუბლიკების აღიარება, შემდეგ მათთან სამხედრო მხარდაჭერის და სამხედრო შეთანხმების გაფორმება და აქ იწყება ყველაზე მთავარი. შემოიფარგლება რუსეთი ამ დროისთვის კონტროლირებადი ტერიტორიებით, რომელსაც აკონტროლებენ სეპარატისტები, თუ აიღებს გეზს ოდესისკენ და მარიუპოლისკენ?! უკრაინაში სრულმასშტაბიანი შეჭრის შემთხვევაში, მთელი პასუხისმგებლობით ვიძახი, ყოველგვარი ჩემი სუბიექტურობის გარეშე, რომ პუტინი თავს წააგებს! ის ვერ მოასწრებს ჰააგის სასამართლოზე წარდგენას, იმიტომ, რომ მას საკუთარი გენერალიტეტი და საკუთარი უახლოესი გარემოცვის ოლიგარქატი გამოუტანს განაჩენს. მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ ამას!

***– ბატონო ალექს, რას ფიქრობთ ქვეყნის შიგნით არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე? რამდენად იცვალა ფერი „ქართულმა ოცნებამ“, რაც თქვენ „ოცნების“ კოალიცია დატოვეთ?***

– ცხადია, მაშინ გაცილებით სხვა ძალთა ბალანსი და სხვა განლაგება იყო, როდესაც ჩვენ



ამ კოალიციაში ვიყავით. გულწრფელად გეტყვით, დღევანდელი „ქართული ოცნების“ ლიდერების ქცევა, ძალიან მაგონებს 2011 წელს ნაცმოძრაობის ლიდერების ქცევას. აბსოლუტური ძალაუფლების ტკბობაში, თრობასა და რყვნაში არიან. აი ეს გარყვნა მათთვის დამღუპველი იქნება. ეს კანონზომიერებაა, ზოგადად ძალაუფლება რყვნის, ხოლო აბსოლუტური ძალაუფლება ღუპავს. საბოლოო ჯამში, ეს დაგვირგვინდება „ქართული ოცნების“ საბოლოო კრახით. მე ამას არ ვამბობ ნიშნის მოგებით, ან შურისძიების და ანგარიშსწორების მომენტით. ეს არის კანონზომიერება, რომელიც აღსრულდება თუ 2024 წლამდე მიაღწიეს, ხოლო თუ მანამდე რადიკალური და მძიმე შეცდომები დაუშვეს, მაშინ მანამდე მიიღებენ ამ განაჩენს, დარწმუნებული ვარ ამაში.

***– შეიცვლება რამე 2024 წელს? იმდენად პოლარიზებულია პოლიტიკური ფონი, რომ ბევრმა დაკარგა ამის იმედი. თქვენ რას ფიქრობთ?***

– ასეთი ეტაპები ყოფილა საქართველოს პოლიტიკაში, მაგრამ გასული ადგილობრივი არჩევნების შედეგებიც კი ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ გაყალბებული საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ამდენი გაყალბების, გადაწერის და დაშინების მიუხედავად, რეალურად წააგებინეს ოპოზიციას და ძალით წაიღეს გამარჯვება. პოლიტიკური ოპოზიციური სპექტრის მიმართ მექნებოდა ასეთი რჩევა, მე არ ვარ დღეს იმ მდგომარეობაში, რომ ოპოზიციას შენიშვნები ვაძლიო, მაგრამ მაქვს ერთი რჩევა, იმის ნაცვლად, რომ ხელისუფლების მხრიდან გადმოსროლილ ანკესებს წამოეგონ და კობახიძის გზავნილები სულ არის ანკესები, რომელზეც ეგება ოპოზიცია და კომენტატორებად იქცევიან ცალკეული ოპოზიციონერები, ამას ჯობია, შექმნან საკუთარი დღის წესრიგი, ელაპარაკონ მოქალაქეებს, ნუ დაელოდებიან 2024-ს და წინა საარჩევნო კამპანიას. ყოველდღიურ რეჟიმში ელაპარაკონ მოქალაქეებს და ნახავენ, რა შედეგს მიიღებენ საბოლოო ჯამში.

# „სააკაშვილის დაკავების დღიდან, ოპოზიცია აღარ ამბობს, მთავრობა უნიათოაო“

## ანზორ აბრალავა: „არ შეიძლება, როცა ქვეყანა უამრავი გამოწვევის წინაშე დგას, ყოველი დღე სააკაშვილით იწყებოდეს და გახარიათი მთავრდებოდეს“



ზოგიერთ აქტუალურ საკითხზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, ანზორ აბრალავას.

მარიამ მჭედლიშვილი

***– გაეროს გენერალურმა მდივანმა მიუნხენის კონფერენციაზე განაცხადა, რომ მსოფლიოში იზრდება და ღრმავდება გეოპოლიტიკური განსხვავებები. ეს საქართველოშიც იკვეთება?***

– გაეროს გენერალურმა მდივანმა თქვა ის, რაც დიდი ხანია ცნობილია. მას ახალი არაფერი უთქვამს. გეოპოლიტიკური ბრძოლა მწვავდება. მიმდინარეობს დაპირისპირება გავლენის სფეროებისთვის. მაღალი ტრიბუნებიდან ხშირად გვესმის, რომ გავლენის სფეროებისთვის ბრძოლა დამთავრებულია და თითქოს თანამედროვე მსოფლიოში ასეთი რამ არ ხდება.

***– სინამდვილეში, ხდება?***

– რასაკვირველია. ის, რასაც ახლა თვალს ვადევნებთ და რაც გვაშფოთებს, სწორედ ესაა. სამყარო სპირალისებურად ვითარდება, შეინიშნება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, ინტერესები კი ძველია. გავლენის სფეროებს თანამედროვე მსოფლიოშიც ინაწილებენ.

***– უკრაინის საზღვართან და აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარე პროცესები ამის გამოვლინებაა?***

– სწორედ ამაზე ვლაპარაკობ. ადრეც მითქვამს, რომ ჩვენ ნატოსგან კონკრეტული გადაწყვეტილებები გვჭირდება. საქართველო, თავის მხრივ, ყოველთვის მზადაა ნატოს მისიებში, ნატოს წვრთნებში მონაწილეობის მისაღებად. კარის ღია დატოვება და შემდეგ ქვეყნის არმიღება, სწორი არ არის. საქართველოს სჭირდება ნატოში ყოფნა და ნატოს ბლიცკრიგი. ჩვენ აღსადგენი გვაქვს ტერიტორიული მთლიანობა.

***– უკრაინასაც ეს პრობლემა უდგას.***

– საქართველო და უკრაინა ურთულეს მდგომარეობაში იმყოფებიან. ორივეს გვესაჭიროება მკაფიო, კონკრეტული ნაბიჯები და არა იმის დაპირება, რომ მომავალში გავხდებით ნატოს წევრები. ახლა პოლიტიკური კუდრაჭობისა და მაღალფარდოვანი ფრაზების დრო აღარ არის. ევროატლანტიკურ ორიენტაციაზე ბევრი ითქვა, კონსტიტუციაშიც ჩაიწერა. ჩვენ გვჭირდება დაცვა. საქართველოს სახელმწიფოებრიობა საფრთხეშია. უკრაინაც მძიმე მდგომარეობაშია ჩაყენებული.

***– უკრაინის გვერდით უამრავი სახელმწიფო დგას.***

– სიტყვით დგანან, იარაღითაც ეხმარებიან, საქმით არ უწევენ თანადგომას. შეიარაღებას აწვდიან. უკრაინა რომ ნატოს წევრი ყოფილიყო, სხვა ვითარება იქნებოდა. ახლა აძლევენ შეიარაღებას და უკრაინელები საზარბაზნე ხორცად უნდა იქცნენ. საქართველო და უკრაინა კი არა, ნატოს წევრი ბალტიის სახელმწიფოებიც რისკის ქვეშ იმყოფებიან. ისეთი დრო დადგა, სწრაფი გადაწყვეტილებებია მისაღები. თანაც, გადაწყვეტილებები უნდა იყოს არა პოლიტიკური, არამედ, სამხედრო-პოლიტიკური. საქართველომ ბევრჯერ დააფიქსირა, რომ უნდა ევროკავშირსა და ნატოში შესვლა, მაგრამ, სამწუხაროდ, არ იღებენ.

***– სხვა ალიანსები ყალიბდება. უკვე გაფორმდა კიევი-ვარშავა-ლონდონის კავშირი. ის გულისხმობს თანამშრომლობას უსაფრთხოების სფეროშიც. საქართველოსაც აქვს შანსი, გახდეს ამ ახალი ალიანსის წევრი.***

– ალიანსების ჩამოყალიბება მყისიერად, წამებში არ ხდება. მეორე მსოფლიო ომის დროს არსებობდა რომი-ბერლინი-ტოკიოს ალიანსი. ის მყარი არ გამოდგა. კიევი-ვარშავა-ლონდონის კავშირი კარგია, მაგრამ არავინ იცის, იქნება თუ არა ის სტაბილური და მყარი.

***– საქართველოს ხელისუფლება როგორ უნდა მოიქცეს შექმნილ ვითარებაში?***

– გონივრულად. ახლანდელი მდგომარეობა ურთულესია. საქართველოს უხდება ყოფნა სცილასა და ქარიბდას შორის. თბილისზე ზეწოლას ახდენს რუსეთი, საქართველოს აძლევენ რეკომენდაციებსა და დავალებებს დასავლელი პარტნიორები. სამწუხაროდ, ეს რაუნდი რუსეთმა დასავლეთს მოუგო.

***– რანაირად?***

– იმიტომ აღმოჩნდა რუსეთი მომგებიან სიტუაციაში, რომ გამოჩნდა დასავლეთის, უფრო სწორად, ნატოს უსუსურობა. ამას დანანებით ვამბობ. ნატო რეალურად ვერ ეხმარება აშკარა საფრთხის წინაშე მდგარ უკრაინას. ჩვენ რუსეთ-უკრაინის ომის წინაშე კი არა, რეგიონული ომის წინაშე ვდგავართ. თუ სიტუაცია უფრო აფეთქდა, ის გადმოვა მთელ რეგიონზე. საქართველოს სახელმწიფოებრიობას ემუქრება საფრთხე. ხელისუფლებაზე მკითხეთ. მთელ პოლიტიკურ ელიტაზე ვიტყვი, რომ ჩვენი პოლიტიკური ელიტა ძალიან სუსტია. ექსპერტები მოუმზადებლები არიან. ვხედავთ არასწორ პროგნოზებს და არასწორ მოქმედებებს. ნატოს უმოქმედობის ფონზე რუსეთი ალიანსს ქმნის ისეთ გიგანტთან, როგორიც არის ჩინეთი. პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებობს სხვადასხვა ორგანიზაცია. რუსეთთან ერთად ამ ორგანიზაციებში შედიან პატარ-პატარა ქვეყნები. მაგალითად, სომხეთი. ამ გზით სომხეთი და სხვა ქვეყნები ცდილობენ თავიანთი ინტერესების დაკმაყოფილებას. დიდი სახელმწიფოების პრეტენზიების გარდა, არსებობს პატარა ქვეყნების მოთხოვნები. მეორე მსოფლიო იმის დროსაც ჰქონდათ პატარა ქვეყნებს თავიანთი პატარ-პატარა ინტერესები.

***– ამ გამოწვევების ფონზე საქართველოს მმართველი პარტიის მიერ წამოწეული მთავარი თემებია ოპოზიციური პარტიების შეცდომები თუ მოქმედებები – განსაკუთრებით, აქტუალურია „ლელო“ და გახარიას „საქართველოსათვის“.***

– ყველა პარტია იქცევა ისე, როგორც საჭიროდ თვლის. დემოკრატიული ცხოვრება ნიშნავს სხვადასხვა პარტიის არსებობას და სიჭრელეს. ის, თუ როგორ იქცევა გახარიას პარტია, სანერვიულო არ არის. თუ ამომრჩეველი ჩათვლის, რომ სწორად იქცევა, მას მხარდამჭერები გაეზრდება ან პირიქით.

***– მმართველი პარტიის დღის წესრიგზეა საუბარი.***

– ყველას პასუხი გაეცემა არჩევნებზე. ისეთ უცნაურ საუბრებს და განცხადებებს ვისმენ, გაოგნებული ვარ. არასწორი აქცენტები კეთდება.

***– დიდი აჟიოტაჟია ატეხილი რუსთავის შუალედურ მაჟორიტარულ არჩევნებზე. ნაცმოძრაობა მხარს უჭერს „ლელოს“ ერთ-ერთ ლიდერს, ბადრი ჯაფარიძეს, რომელსაც დეპუტატის მანდატი მოუხსნეს.***

– აქაც საზოგადოება გამოიტანს დასკვნებს. ბადრი ჯაფარიძე იყო იმ ოპოზიციონერებს შორის, რომლებიც 2020 წლის არჩევნების შემდეგ პარლამენტში არ შედიოდნენ. ჯერ ბოიკოტი გამოუცხადეს პარლამენტს, შემდეგ – შევიდნენ. ახლა, როცა კანონის საფუძველზე გამოუშვეს პარლამენტიდან, ერთი ამბავი ატეხეს. ბევრი ადამიანის აზრი მომისმენია ამაზე და ვიცი, რომ ასეთი მერყეობა და პოზიციების ხშირი ცვლა საზოგადოებას არ მოსწონს. ვისაც უნდა, ის მხარს დაუჭერს ჯაფარიძეს. მთავარია, პოლიტიკოსები არ გამოვიდნენ კონსტიტუციის ჩარჩოებიდან. ამის მცდელობა ყოფილა. ნაცმოძრაობას არაერთხელ უცდია 2003 წლის მოვლენების გამეორება. სხვათა შორის, ამ ოპოზიციამ ხმარებიდან ამოიღო ერთი ტერმინი – „უნიათო მთავრობა“.

***– თქვენი დაკვირვებით, როდიდან?***

– სააკაშვილის დაკავების მომენტიდან. ამის შემდეგ ოპოზიციას აღარ უყვირია, საქართველოს უნიათო მთავრობაო. მართლაც, აქ გამოჩნდა, რომ ხელისუფლება მოქმედი და ქმედუნარიანია. ჩემი აზრით, ეს თავიდან ბოლომდე იყო შესანიშნავად ჩატარებული ოპერაცია, სააკაშვილი ჩასვეს რძისპროდუქტებიან ტრანსპორტში, ჩამოიყვანეს და კანონის შესაბამისად დააკავეს. სააკაშვილს ნიშნს არ ვუგებ, მაგრამ ეს იყო ჩინებულად ორგანიზებული ოპერაცია. სააკაშვილის უფლებები უნდა იყოს დაცული, მაგრამ დღე და ღამე მარტო მასზე ლაპარაკი, არ არის ნორმალური. არ შეიძლება, როცა ქვეყანა უამრავი გამოწვევის წინაშე დგას, ყოველი დღე სააკაშვილით იწყებოდეს და გახარიათი მთავრდებოდეს.

# „რეგიონის ყველა ქვეყანამ პატივი უნდა სცეს ერთმანეთის სუვერენიტეტს“

იაგო ნაცვლიშვილი

## მუსტაფა შენთოფი: „თურქული ბიზნესის წარმომადგენლებს არასდროს უთქვამთ უარი საქართველოში მოღვაწეობაზე“

**ექსკლუზიური ინტერვიუ თურქეთის დიდი ეროვნული მეჯლისის თავმჯდომარე, პროფ. დოქტ. მუსტაფა შენთოფთან**



***– დღეს, როდესაც უკრაინას ასე უჭირს და მთელი დასავლეთი ერთხმად უჭერს მხარს, თქვენ მკაფიო მხარდაჭერა გამოხატეთ უკრაინის მიმართ. ეს არ შეუშლის ხელს თქვენი და რუსეთის თანამშრომლობას და როგორ შეიძლება დაეხმაროს თურქეთი ომის ზღვარზე მყოფ უკრაინას?***

– თურქეთს დაძაბულობის მონაწილე ყველა მხარესთან აკავშირებს ახლო ურთიერთობები და აქედან გამომდინარე, იგი კრიტიკულად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ პერიოდში. თურქეთი სიამოვნებით უმასპინძლებს ლიდერების სამიტს ან სხვა დონის შეხვედრებს. დონბასის კონფლიქტის კონტროლის საკითხში ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის უკრაინის სპეციალური მონიტორინგის მისიას.

ჩვენმა პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა მკაფიოდ გაუსვა ხაზი ამ საკითხს, როდესაც განაცხადა, რომ „ჩვენ შეგვიძლია შევასრულოთ შუამავლის როლი რუსეთსა და უკრაინას შორის მშვიდობის დასამყარებლად“. ამ საკითხში თურქეთის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია, რომ გამომწვევი მიზეზებისდა მიუხედავად, ჩვენს რეგიონში არ დავუშვათ კონფლიქტის ესკალაცია. თურქეთის თვალსაზრისით, რუსეთსა და უკრაინას შორის საზღვრის დარღვევის შედეგად განვითარებული ნებისმიერი კონფლიქტი ან ომი სერიოზული საფრთხის შემცველია რეგიონის მშვიდობისა და სტაბილურობისათვის.

არსებული კრიზისი უნდა გადაიჭრას უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე დაყრდნობით, მინსკის ხელშეკრულების ფარგლებში, მშვიდობიანი და დიპლომატიური გზით.

თურქეთი მხარს უჭერს უკრაინის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, ყირიმის ჩათვლით. ჩვენ მზად ვართ გადავდგათ ყველა საჭირო ნაბიჯი, რათა თავიდან ავიცილოთ კრიზისი და ომი, ხოლო რეგიონულ მშვიდობას არ დაემუქროს საფრთხე.

***– ეს ხომ არ არის ის კრიტიკული ზღვარი, როდესაც ნატომ კარი უნდა გაუღოს საქართველოს და უკრაინას. რას გააკეთებს თურქეთი ნატოსკენ დაახლოების გ ზაზე საქართველოს მხარდასაჭერად?***

– თურქეთი მხარს უჭერს უკრაინისა და საქართველოს მისწრაფებას – გაერთიანდეს ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში. ჩვენ, დადებითად ვაფასებთ ქართული საზოგადოების ნებასა და საქართველოს მთავრობების გაწეულ ძალისხმევას ამ მიმართულებით. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ნატოში გაწევრიანების საკითხში თურქეთის კონკრეტული მხარდაჭერა გამოიხატება როგორც ალიანსის შიგნით მის მიერ გაჟღერებული პრინციპული პოზიციით, ასევე ნატო-საქართველოს ურთიერთობების ფორმატის გაფართოებით, ნატოს მოლოდინებისა და სტანდარტების შესაბამისი, საჭირო რეფორმების გატარების პროცესში დახმარების უზრუნველყოფით.

მომავალში კვლავ გაგრძელდება ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტით გათვალისწინებული მატერიალური მხარდაჭერა და ასევე, თავდაცვის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობა: საგანმანათლებლო პროექტები და ტექნიკური დახმარება.

***– ზოგადად როგორ დაახასიათებდით ჩვენი ქვეყნების ორმხრივ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებს, პარლამენტთა შორისო ურთიერთობების ჩათვლით?***

– 1992 წელს თურქეთსა და საქართველოს შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლობის ხელშეკრულების ხელმოწერიდან 30-წლიანი პერიოდის განმავლობაში, ჩვენმა ქვეყნებმა მიაღწიეს სტრატეგიული პარტნიორობის დონეს, რაც ემყარება: ერთმანეთის ტერიტორიული მთლიანობის, საზღვრების ხელშეუხებლობისა და სუვერენული უფლებების პატივისცემის პრინციპებს, ურთიერთმომგებიანი ეკონომიკური კავშირებისა და სანიმუშო მეზობლური ურთიერთობების განმტკიცების საფუძველს.

საპარლამენტთაშორისო ურთიერთობების განვითარებამ ხელი შეუწყო ქვეყნებს შორის პარტნიორობის სამართლებრივი ზოგადი ჩარჩოსა და მყარი საფუძვლების ჩამოყალიბებას. ორივე ქვეყნის პარლამენტში ჩამოყალიბებულია მეგობრობის ჯგუფები. ჩვენი პარლამენტები თანამშრომლობენ საერთაშორისო სტრუქტურებში: ნატოს, ეუთოს, ევროპის საბჭოსა და შავი ზღვის ეკონომიკური კავშირის საპარლამენტო ასამბლეების ფორმატებში. განსაკუთრებით, ჩვენ ვაგრძელებთ ქართველი კოლეგების მტკიცე მხარდაჭერას ნატოს საპარლამენტო ასამბლეაზე.

რა თქმა უნდა, გლობალური და რეგიონული მოვლენების ფონზე შესაძლებელია კიდევ უფრო განვავითაროთ ჩვენი ურთიერთობების არსებული პოზიტიური დონე, რომელსაც მივაღწიეთ გასული 30 წლის განმავლობაში. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ამ პოზიციას იზიარებენ ჩვენი მეგობრებიც საქართველოს პარლამენტში.

***– ჩვენს ქვეყნებს ბევრი ერთობლივი ენერგეტიკული და სატრანსპორტო პროექტი აკავშირებთ ერთმანეთთან. როგორია ორი ქვეყნის თანამშრომლობა ამ სფეროებში და თუ იგეგმება ახალი პროექტების განხორციელება?***

– თურქეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის სტრატეგიული თანამშრომლობის შედეგი და სიმბოლოა ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორიცაა: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი და თ№ე -ი, რომლებიც ფუნქციონირებენ, როგორც ერთგვარი დამაკავშირებელი ხიდი კასპიის აუზსა და ევროპას შორის.

რა თქმა უნდა, ჩვენ მხარს ვუჭერთ და გვსურს, რომ უფრო გაიზარდოს წარმადობა, გახდეს უფრო ეფექტური და დივერსიფიცირებული ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზისა და ნავთობის რესურსების ტრანსპორტირების პროექტები, სარკინიგზო და საგზაო კავშირები, რითაც ისარგებლებს რეგიონის ყველა ქვეყანა.

***– თურქეთი არის საქართველოს ნომერი პირველი სავაჭრო პარტნიორი, ასევე დიდია თურქული ინვესტიციების წილი საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში. ბოლო პერიოდში შეჩერდა თურქული ფირმა „ენკას“ ნამახვანჰესის პროექტი. ხომ არ ფიქრობთ, რომ იგი უარყოფით გავლენას იქონიებს თურქეთიდან ინვესტიციების მოზიდვის საკითხზე? ან რამენაირად უარყოფითად აისახება პოლიტიკურ დღის წესრიგზე?***

– უპირველეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო, რომ ბოლო დროს ჩვენს ქვეყნებს შორის კომერციული ურთიერთობები ინტენსიურად ვითარდება, რაც ჩვენთვის მეტად სასიხარულოა. ასევე სასიამოვნოა, რომ ჩვენ ქვეყნებს შორის ორმხრივი ვაჭრობის მოცულობამ, რომელიც ბოლო წლებში დაახლოებით 1,6 მილიარდი დოლარს შეადგენდა, 2021 წელს 2,1 მილიარდ დოლარს მიაღწია.

ჩვენი აზრით, ნამახვანჰესის პროექტი მნიშვნელოვანია საქართველოს ენერგოუსაფრთხოების თვალსაზრისით. ორ ქვეყანას შორის მჭიდრო ურთიერთობის ბუნებრივი შედეგი იქნებოდა ის, თუ ამ პროექტს შეასრულებდა თურქული კომპანია. თუმცა, ეს საკითხი უშუალოდ ეხება ამ კონკრეტულ ფირმასა და საქართველოს მთავრობას. მეორე მხრივ, აღნიშნული პროექტის მეშვეობით ჩვენ დავინახეთ, რომ შეიძლება არსებობდნენ ჯგუფები, რომლებიც არ არიან კმაყოფილი იმ პოზიტიური განვითარებით, რაც უკვე მოიტანა და რასაც მომავალშიც მოიტანს თურქეთ-საქართველოს ურთიერთობების განვითარება.

აღსანიშნავია, რომ თურქული ბიზნესის წარმომადგენლებს არასოდეს უთქვამთ უარი საქართველოში მოღვაწეობაზე, არც 90-იანი წლების მძიმე პერიოდში, არც 2008 წლის ომის დროს და მას შემდეგაც. ისინი ენდობიან ქართველ ხალხსა და მათ სახელმწიფოს. თურქები ყოველთვის გაჭირვებისას უდგანან მხარში თავიანთ მეგობრებს. ჩვენი კეთილმეზობლური ურთიერთობები და სტრატეგიული პარტნიორობა ემყარება გამოცდილ და საიმედო მეგობრობას. აქედან გამომდინარე, ჩვენ გვსურს და მხარს ვუჭერთ იმას, რომ თურქულმა კერძო სექტორმა მაქსიმალურად შეუფერხებლად განახორციელოს საინვესტიციო საქმიანობა საქართველოში, უპირველეს ყოვლისა, თქვენი ქვეყნის სასარგებლოდ.

***– საქართველოში, აჭარის რეგიონში დაიწყო რუსული პროპაგანდა თურქოფობიასთან დაკავშირებით. ეს აშკარად მომძლავრებულია ბოლო წლებში. გაქვთ თუ არა საქართველოსთან თანამშრომლობა ამის აღსაკვეთად და მეგობრული ვითარების განსამტკიცებლად, რამაც ბოლო წლებში აშკარად მოიკლო?***

– თქვენ იცით ჩვენი პოლიტიკის მთავარი პრინციპი, რომ რეგიონის ყველა ქვეყანამ პატივი უნდა სცეს ერთმანეთის სუვერენიტეტს. კავკასიის რეგიონის ისტორიული სიმდიდრეა ის, რომ აქ სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლები ერთად ცხოვრობენ ასწლეულების განმავლობაში. მოკლევადიანი, ვიწრო ინტერესებზე დამყარებული გათვლები, რომლის მიზანია: შეურაცხმყოფელი, სიძულვილის ენის გამოყენებით, განსხვავებულობა გადაიქცეს დაპირისპირებად, აზარალებს რეგიონის სტაბილურობასა და მშვიდობას, ასევე, შეუძლებელს ხდის ყველა მხარისათვის წარმატებულ რეგიონულ თანამშრომლობას. აქედან გამომდინარე, არც ერთმა რეგიონულმა ქვეყანამ არ უნდა დაუშვას, რომ ცივი ომის პერიოდის ნარჩენებზე აგებულმა პროპაგანდამ მიაღწიოს მიზანს და დააზიანოს სტაბილურობა და თანამშრომლობა საქართველოში ან რეგიონის სხვა ქვეყნებში.

აქედან გამომდინარე ვთვლი, რომ ქართული ანდაზა „კარგი მეზობელი ნათესავს ჯობიაო“ საქართველოს უძველესი სახელმწიფოებრივი აზროვნების გამოხატულებაა. კულტურული თანამშრომლობის, ტურიზმისა და სავაჭრო ურთიერთობების განვითარება, ნდობაზე დაფუძნებული დიალოგის გაძლიერება ყველაზე საიმედო გზაა, რომელიც გაზრდის სტაბილურობის მდგრადობას ბოროტი განზრახვების წინააღმდეგ როგორც ორმხრივი, ასევე, რეგიონული ურთიერთობების ფორმატში.

# „რუსეთი ჩვენთვის არც მიმზიდველია და არც საიმედო მეზობელი“

გულიკო ბალაძე

## ამირან სალუქვაძე: „ფართომასშტაბიან საომარ მოქმედებებს არ ველოდები, გართულებები იქნება ლუგანსკისა და დონბასის მიმართულებით“

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებში ამირან სალუქვაძე პასუხობს.**

***– პუტინმა განაცხადა, რომ ყირიმი რუსეთის სუვერენული ტერიტორიაა და თუ უკრაინა ნატოს წევრი გახდება, შეიძლება ყირიმში ოპერაცია დაიწყოს. რა, ჩვენ ნატოს ვებრძოლოთო? ამ სიტყვებიდან რა ჩანს? პუტინი დარწმუნებული არ არის, რომ ყირიმი მათი სუვერენული ტერიტორიაა, იქ დამკვიდრდა და ამიტომ ეშინია?***

– ეს პრობლემა, ცხადია, არსებობს, რომელიც ნატოს წევ ქვეყნებს შეაფერხებს და დააფიქრებს. ეს პუტინის განცხადების გარეშეც პრობლემა იქნებოდა, მაგრამ ოდესმე ნატო იქამდე თუ მივა, უკრაინა თავის შემადგენლობაში მიიღოს, ალბათ, ეს საკითხი სასაუბრო იქნება, რომ ყირიმის თემა მშვიდობიანი და დიპლომატიური გზით მოგვარდეს. რთულია წარმოდგენა, რომ რუსეთი უახლოეს პერიოდში ამას დათანხმდეს.

პრობლემური საკითხია, მაგრამ რუსეთმა იმაზეც უნდა ისაუბროს, როგორ მოახდინა ყირიმის ანექსია. რაღაც ზღაპრებზე საუბარი, ჩვენ ჯარი არ შეგვიყვანია და ნებით მოხდა ყველაფერიო, არავის სჯერა, ძნელია სხვა დააჯერონ. ყირიმში რუსეთს უზარმაზარი სამხედრო ფლოტი ჰყავდა, რაღა შეყვანა უნდოდა. ამ კონტინგენტის გავლენა ყოველთვის იყო. „მწვანე კაცუნებიც“ ვიცით. რაზეც ახლა პუტინი საუბრობს, ის რეალობა თავად პუტინმა შექმნა როგორც ყირიმში, ასევე დონბასში.

საქართველოს მაგალითი სახეზეა. ცხინვალისა და აფხაზეთის ოკუპაცია თავად რუსეთმა მოახდინა. დიდხანს იმშვიდებდნენ თავს, სანამ ეს ტერიტორიები ოკუპირებულია, საქართველოს ნატოში ვერ მიიღებენ, რადგან მაშინ ნატოს მოუწევს საქართველოს ამ ოკუპირებული რეგიონების გამო რუსეთთან სამხედრო დაპირისპირებაო.

ოკუპაციებითა და ანექსიებით რუსეთი ქმნის იმ რეალობას, რომ ნატო არ გაფართოვდეს. შემდეგ აცხადებს: თქვენ რა, ჩვენთან ომს აპირებთ? ცინიკური ქცევაა. აღარაფერს ვამბობ 200-წლიან პერიოდზე. რაც საქართველოს ბოლო 30 წლის განმავლობაში გაუკეთა, ყველამ ვიცით. მე სამხედრო ვარ და ვიცი, როგორ დაიწყო ომი. მაგ დროს გადმოვედი საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. ჩვენ თვალწინ ჩაიარა პირველმა ომებმა ცხინვალსა და აფხაზეთში.

ვიცით, როგორ იქცეოდა რუსეთი ჩვენთან დაკავშირებით – ორივე მხარეს აიარაღებდა და, ფაქტობრივად, აფხაზეთის სასარგებლოდ იბრძოდა. კარგად ვიცით, როგორ დაეცა სოხუმი და აფხაზეთი, რუსეთის პოლიტიკისა და სამშვიდობო შეთანხმების შედეგად, როდესაც თითქოს ორივე მხარე განგვაიარაღა, ამ დროს, რეალურად, მხოლოდ ჩვენ განგვაიარაღა. გამოვიტანეთ მძიმე ტექნიკა (მსხვილკალიბრიანი), ბრძოლის ყველანაირი საშუალება და სოხუმში ჩვენი შენაერთები მხოლოდ მცირე შეიარაღების, ავტომატებისა და ყუმბარმტყორცნების ამარა დარჩა.

შემდეგ ფორმალურად, თითქოს აფხაზებმა, სინამდვილეში რუსულმა ქვედანაყოფებმა, შემოგვიტიეს იმ შეიარაღებითა და ტექნიკით, რომელიც კონფლიქტის ზონიდან გატანილი უნდა ყოფილიყო. ახლა პუტინს შეუძლია ილაპარაკოს, მაგრამ ყველაფერი ჩვენს თავზე გამოვცადეთ და ვიცით, რომ რუსეთი ჩვენთვის არც მიმზიდველია და არც საიმედო მეზობელი, მის სიტყვებს რომ ვენდოთ. ამიტომ პრეტენზიები ნატოს მიმართ აქვთ.

***– ზოგიერთი ექსპერტი ამბობს, თუ უკრაინაში შეიჭრება, პარალელურად შეიძლება საქართველოსაც დაარტყასო. კიდევ რაღა უნდა?***

– ჩვენ ყოველთვის ასე გვგონია, კიდევ რა უნდა გააკეთოსო. მე ასეთ სცენარებს, როგორც წესი, ღიად არ განვიხილავ (იმ ექსპერტებსაც მოვუწოდებ) ამის საჭიროება და სახელმწიფო პოლიტიკა თუ არ არის.

***– თუმცა, ამის შესაძლებლობა არის?***

– რუსეთის მხრიდან მხოლოდ საფრთხეებია მოსალოდნელი, პირველ რიგში, სამეზობლოში. კარგად ვიცით, როგორ ექცევა რუსეთი მეზობლებს.



***– რუსეთის ტანკებმა უკრაინის საზღვარი არ გადალახონო. ყირიმი ანექსირებულია. ლუგანსკსა და დონბასში სროლებია, რუსებს უკრაინის საზღვარიც გადალახული არ აქვთ და საქართველოს საზღვარიც, რის გამოც მას პასუხი არ უგია. თავისუფლად მოქმედებდა სირიასა და აზერბაიჯანშიც. უსაფრთხოების რაღა გარანტიები უნდა?***

– რუსეთს სურს, თავი ისე წარმოაჩინოს, როგორც მთავარმა მოთამაშემ მსოფლიოში. მეორე – მუდმივად აწვება აქეთ, რომ იქით მიიღოს. რაც მეტად მიაწვება იქით, მეტი დარჩება აქეთ. როცა სალაპარაკო თემად ქმნი ფართომასშტაბიან შეტევას და მთელი მსოფლიო მობილიზებულია, ფართომასშტაბიანი ომი ევროპაში არ დაუშვან, შედარებით „წვრილმანი“ (ვისთვის წვრილმანია და ვისთვის ოჯახური ტრაგედია) დარღვევები დაუსჯელი რჩება და მეორე პლანზე გადადის. დღეს მთავარია, დაპირისპირების ესკალაცია შემცირდეს. შემდეგ ეს იქნება საფიქრალი.

***– დაძაბულობის ფონზე რუსეთის დუმაში ლუგანსკისა და დონეცკის აღიარების საკითხი დადგა. საბოლოოდ, რა დარჩება იქიდან, რაც ამ დღეებში რუსეთმა დააყენა?***

– ლუგანსკისა და დონეცკის რესპუბლიკების საკითხის აღიარებისკენ წაყვანა ახალი არ არის, ჩვენ ეს ყველაფერი გავლილი გვაქვს. რუსებს ამ რესპუბლიკების მოსახლეობა დათვლილი აქვს – 600 ათასი მოქალაქეა და ჩვენ ამ ხალხს არ მივატოვებთო. აღიარების მოთხოვნა შეგნებულად დაამთხვიეს ჯარების გაყვანის დაწყებას. შეეცადნენ სპექტაკლის დადგმას, თითქოს რუსეთის მმართველ პარტია „ედინაია რასიას“ უფრო რბილი რეზოლუციის ტექსტი ჰქონდა, მაგრამ ხმათა უმრავლესობით ოპოზიციური პარტიის პროექტი მიიღეს. ასე მოიხსენიებენ კომპარტიას, რაც ღიმილის მომგვრელია. ეს ყველაფერი დემოკრატიულ პროცესად უნდათ წარმოაჩინონ.

ჯარის გაყვანის დაწყება, აღიარების მოთხოვნა და გერმანიის კანცლერ შოლჩის ჩაფრენის დამთხვევა რთულად დასაჯერებელია. ეს არის თამაში, სცენარის ერთ-ერთი ნაწილი. ცხადია, პუტინი ხელს არ მოაწერს და ეს მუდმივად „მინსკი-2-ის“ თავზე და ზელენსკის კისერზე იქნება დაკიდებული. პუტინი მიაწვება, რომ უკრაინამ დაასრულოს მინსკი-2-ის შეთანხმება. თუ დაიწყებს შესრულებას, შიგნით სიტუაცია აუდუღდება.

თუ მინსკი-2 არ შესრულდება, რაღაც შეხსენებების შემდეგ, პუტინმა შეიძლება ხელი მოაწეროს ამ რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარებას, აფხაზეთისა და ცხინვალის მსგავსად. თუ ჩვენთან გაცილებით მეტ დროს მოუნდა, დონბასში ეს ნაკლებ დროში შეიძლება განახორციელოს.

***– ანუ უკრაინაზე შეტევა (კიევზე დარტყმაზეც საუბრობდნენ) არ იქნება?***

– ფართომასშტაბიან საომარ მოქმედებებს არ ველოდები, გართულებები იქნება ლუგანსკისა და დონბასის მიმართულებით. გართულებები ლოკალური, ტაქტიკური საკითხია. მოსალოდნელია მოვლენები ცხინვალისა და აფხაზეთის სცენარით განვითარდეს.

მოვისმინეთ მაკრონისა და შოლჩის განცხადება, რომ მინსკი-2-ის გადაწყვეტილების შესრულება გამოსავალია. სხვა ფორმულა, გარდა შტაინმაიერისა, არ არსებობს.

## თამთა თოდაძე: „ილია ჯიშკარიანს სამუდამო პატიმრობაც რომ მიუსაჯონ, ტკივილს ვერავინ წამიშლის“

– სამუდამო პატიმრობაც რომ მიუსაჯონ, ტკივილს ვერაფერი წამიშლის, ეს ყველაფერი ჩემი ცხოვრების ძალიან სამწუხარო გამოცდილებაა, მაგრამ სამართალმა უნდა იზეიმოს.

ამის შესახებ საკრებულოს ყოფილმა თანამშრომელმა თამთა თოდაძემ სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ განაცხადა.

– მოვისმინე ილია ჯიშკარიანის მიერ შეთხზული, სრულიად აბსურდული რეალობა. მის მიერ მანამდე მიცემული ჩვენება განსხვავდება სასამართლოში მიცემული ჩვენებისაგან, რაც ბევრ რამეზე მეტყველებს. რაც შეეხება ჩემი დაკითხვის პროცესის დახურვას, ჩემი დაკითხვა დავხურე არსებული ემოციური ფონის გამო, ვინაიდან ძალიან ბევრი რამ გადავიტანე იმ პერიოდში, ყველაფრის ხელახლა გახსენება და ის ფაქტი, რომ ჯიშკარიანი იქნებოდა დარბაზში, ჩემთვის არ იყო მარტივი. თუმცა, ამ პროცესის აუდიომასალა არსებობს, მოსამართლე იქ იყო და ისმენდა ყველაფერს.

მარიამ კუბლაშვილისაგან მოვისმინე განცხადება, რომ ავიხლართე რაღაცებში და პროცესი იმიტომ დავხურე, რაც არ შეესაბამება სიმართლეს. მზად ვარ, ჩემი დაკითხვის აუდიომასალა გასაჯაროვდეს, მე არაფერი არ მაქვს დასამალი, ის ფაქტი, რომ ამ ადამიანმა ჩემზე იძალადა, მორალური და ფსიქოლოგიური ძალადობა განახორციელა, ცალკე სიმართლეა, რომელსაც აუცილებლად დავამტკიცებ.

საქმეში დევს უამრავი მტკიცებულება, მათ შორის ჩემს კაბაზე არსებული მისი ბიოლოგიური მასალები, სამხარაულის ექსპერტიზა ფიზიკურ ძალადობაზე. ის ფაქტი, რომ მე მას ვურტყამდი, სრული აბსურდია, ადამიანი მაბრალებს, რომ ალკოჰოლიზმის სინდრომი მქონდა, აქეთ დავესხი თავს და ვიძალადე მასზე.

თუ ილია ჯიშკარიანი არ იქნებოდა, აუცილებლად ვნახავდი მის გარეშეც სამსახურს.

გავდიოდი ფსიქოლოგთან რეაბილიტაციას იმ ყველაფრის შემდეგ, რაც მოხდა. ძალიან დიდი ტრავმა მომაყენა ამ ადამიანმა. მას სამუდამო პატიმრობაც რომ მიუსაჯონ, ტკივილს ვერაფერი ვერ წამიშლის, ეს ყველაფერი ჩემი ცხოვრების ძალიან სამწუხარო გამოცდილებაა, მაგრამ სამართალმა უნდა იზეიმოს. ჩემი მოლოდინია, რომ დადგება სამართლიანი განაჩენი და რასაც ეს მუხლი ითვალისწინებს, გათვალისწინებული იქნება ამ ადამიანის მიმართ, – აღნიშნა თამთა თოდაძემ.

## მარიამ კუბლაშვილი: „თამთა თოდაძე ილია ჯიშკარიანს გაშლილი ხელით სცემდა“



მარიამ კუბლაშვილი

– ილია ჯიშკარიანს თამთა თოდაძე თავად დაესხა თავს. ის არ არის ერთადერთი ადამიანი, ვისაც თამთა თოდაძე თავს დასხმია ასეთივე ფორმით.

ამის შესახებ სექსუალურ ძალადობაში ბრალდებული, საკრებულოს ყოფილი დეპუტატის, ილია ჯიშკარიანის ადვოკატმა, მარიამ კუბლაშვილმა ჟურნალისტებს 18 თებერვალს განუცხადა.

– თამთა თოდაძე დიდი ხნის განმავლობაში ითხოვდა დაწინაურებას, თანამშრომლებთანაც და სხვა პირებთანაც იმეორებდა, რომ მისი ადგილი პატარა ბიუროში არ უნდა ყოფილიყო, უნდა იყოს პარლამენტში და თავს ადარებდა სხვა წარმატებულ ადამიანებს. თვლიდა, რომ არის ძალიან განათლებული, აქვს მრავალი დიპლომი და იყო უკმაყოფილო მისი სამუშაოთი. მიაჩნდა, რომ ილია ჯიშკარიანს მისი დახმარება შეეძლო, ილიამ გაუწია მას რეკომენდაციები, მაგრამ არც ერთმა სამსახურმა თამთა თოდაძის განცხადება არ დააკმაყოფილა და არ მიიღო.

თამთა უსწორდებოდა გაშლილი ხელით, რამდენჯერმე დაარტყა სახის არეში, ჯიშკარიანი მთელი ეს პერიოდი იყო თავდაცვის რეჟიმში, ფეხებსაც ურტყამდა ჯიშკარიანს, მაგრამ დაზიანებები არ მიუღია და აღბეჭდილი არ არის სხეულზე. თამთა თოდაძემ საკუთარი ჩვენებისას პროცესი დახურა, არ დაუშვა მედიის წარმომადგენლები. აქ გაჟღერდა ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციები, სრულიად სხვა რაღაცებს საუბრობდა მედიასთან და სხვა რამ ისაუბრა სასამართლოში. რაზეც აპელირებს, თითქოს ილიამ სცემა, არც კვალი არ არსებობს რაიმე სახის მის სხეულზე და ტანსაცმელზე. პირველივე წუთიდან ვიცოდი, რომ ილია ჯიშკარიანი უდანაშაულოა. დარწმუნებული ვარ, რომ 4 მარტს გამამართლებენ განაჩენს მოვისმენთ, – აღნიშნა მარიამ კუბლაშვილმა.

ცნობისთვის, ისნის რაიონის საკრებულოს ყოფილ მაჟორიტარ დეპუტატ ილია ჯიშკარიანს, 2019 წლის 30 სექტემბერს, მისი წარმომადგენლობითი ბიუროს სპეციალისტის, თამთა თოდაძის მიმართ განხორციელებული სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედებისა და ძალადობის ფაქტზე ბრალდება წარედგინა.

ჯიშკარიანს აღკვეთის ღონისძიების სახით 10.000-ლარიანი გირაო შეეფარდა.

## ნიკო კვარაცხელიას მკვლელობის პროცესზე ნიკოლოზ ფეიქრიშვილის სახელი დაფიქსირდა

ნიკო კვარაცხელიას მკვლელობის საქმეზე საქალაქო პროცესის შემდეგ სასამართლოს ეზოში დაზარალებულები ბრალდებულებს დაუპირისპირდნენ.

მოკლული ნიკო კვარცხელიას მამიდა მკვლელობაში ბრალდებულების ადვოკატს, ონისე მარგიანს დაუპირისპირდა.

– მკვლელები ხართ, – ასე მიმართა მოკლული ბიჭის ნათესავმა ადვოკატს.

საქალაქო სასამართლოში პროცესი 18 თებერვალს დასრულდა, თუმცა საზარელი მკვლელობის დამკვეთი ცნობილი ისევ არ არის.

სასამართლო პროცესზე ახალმა გვარმა გაიჟღერა, ეს არის ნიკოლოზ ფეიქრიშვილი. „პირველების“ ინფორმაციით, ის მკვლელობაში ბრალდებულის, აკო ჭელიძის მეგობარია, თუმცა რა შემხებლობა აქვს საქმესთან, ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

გამოძიების ინფორმაციით, მის ანგარიშზე სექტემბრის თვეში ფულადი გადარიცხვები დაფიქსირდა.

22 წლის ნიკო კვარაცხელია თბილისში, ანჯაფარიძის ქუჩაზე, გასული წლის 15 სექტემბერს მოკლეს. მკვლელობაში ბრალდებული ორი პირი – აკო ჭელიძე და გიორგი კავილაძე შსს-მ 7 ოქტომბერს დააკავა.

მათ ბრალი დაუსწრებლად ჰქონდათ წაყენებული. ბრალდებულებს საგამოძიებო უწყება მკვლელობის დღიდან ეძებდა.

## თბილისის და ბათუმის აეროპორტებში ყაზახეთისა და თურქეთის მოქალაქეებს არადეკლარირებული ფული უპოვეს

საბაჟო გამშვებ პუნქტებში „თბილისის აეროპორტი“ და „ბათუმის აეროპორტი“, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, ყაზახეთისა და თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეების ო.რ.-ს და ზ.ს.-ს კუთვნილი ხელბარგის დათვალიერების შედეგად, არადეკლარირებული თანხა, 46.300 დოლარი და 113.500 არაბთა გაერთიანებული საამიროების დირჰამი გამოავლინეს.

ამის შესახებ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

მისივე ინფორმაციით, არადეკლარირებული თანხის საერთო რაოდენობამ, ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის მიხედვით, 120.359,34 ლარი შეადგინა.

„საქართველოს საბაჟო კოდექსის 169-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს, სანქციის სახით, ფულადი ჯარიმა, საერთო ჯამში, (არადეკლარირებული თანხის 10%-ის ოდენობით) 23 162,1 ლარი შეეფარდა“ – ნათქვამია ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## უცნობმა მთავარ არხს სასამართლოში უჩივლა



გია გაჩეჩილაძის ოჯახმა ტელეკომპანია „მთავარი არხის“ წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა.

2021 წლის 9 ოქტომბერს, ტელეკომპანია „მთავარი არხის“ საღამოს შაბათის, 21:00 საათიან ეთერში, გავიდა სიუჟეტი, რომელიც შეიცავდა ინფორმაციას, რომ ნიკოლოზ კვარაცხელიას მკვლელობაში ბრალდებული პირების, რომლებიც მაშინ იძებნებოდნენ, ერთ-ერთი სამალავი ადგილი ძმებ გაჩეჩილაძეების საცხოვრებელი სახლი იყო.

უცნობის მტკიცებით, აღნიშნულ ფაქტს არც მთავარი პროკურატურა და არც შინაგან საქმეთა სამინისტრო არ ადასტურებს.

ოჯახის ადვოკატმა, გოდერძი გრიგალაშვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, შესაბამისი მოთხოვნით, რომ უარყოფილი იყოს ცილისმწამებლური განცხადება მოპასუხის მიერ.

კერძოდ, მოხდეს სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნება იმასთან დაკავშირებით, რომ ყველაფერი, რაც აღნიშნულ სიუჟეტში გაჟღერდა, იყო სიცრუე. ოჯახი ითხოვს პატივისა და ღირსების შელახვისათვის მყისიერ რეაგირებას და ცილისწამების კანონის დონეზე გამიჯვნას სიტყვის გამოხატვის თავისუფლებისაგან და მის უფრო კონკრეტულ რეგულირებას.

„მთავარ არხს“ აღნიშნულ სიუჟეტთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია.

## დიდუბეში ნასვამი 3 პირის დაჭრისთვის თ.ბ. დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1994 წელს დაბადებული თ.ბ. ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

ამის შესახებ ინფორმაციას შსს ავრცელებს.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულ თ.ბ.-ს თბილისში, მეტროსადგურ დიდუბის მიმდებარე ტერიტორიაზე, სავარაუდოდ, ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფ, მისთვის უცნობ მამაკაცებთან შელაპარაკება მოუვიდა, რის ნიადაგზეც თ.ბ.-მ 3 პირს ცივი იარაღის გამოყენებით სხეულზე დაზიანებები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დაჭრილი მამაკაცები სამედიცინო დაწესებულებაში არიან მოთავსებული და უტარდებათ შესაბამისი დახმარება.

სამართალდამცველებმა ცხელ კვალზე ჩატარებული საგამოძიებო და სამძებრო მოქმედებების შედეგად თ.ბ. დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცებად ამოიღო“ – აღნიშნულია ინფორმაციაში.

გამოძიება ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს, სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

## ქალმა საქართველოს 2 მოქალაქეს აშშ-ში გადაყვანისთვის 15.168 ლარი მოტყუებით გამოართვა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ინტენსიურ რეჟიმში ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან აქტიური თანამშრომლობით, დიდი ოდენობით ჩადენილი თაღლითობის ბრალდებით 1990 წელს დაბადებული ს.ფ. თბილისში დააკავეს.

ინფორმაციას ამის შესახებ შსს ავრცელებს.

უწყების ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული ქალი საქართველოს მოქალაქეებს – მ.შ.-ს და ჯ.გ.-ს – გარკვეული თანხის გადახდის სანაცვლოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში გასამგზავრებელი ბილეთების შეძენას, აშშ-ში საცხოვრებლით, ასევე, სამსახურით უზრუნველყოფასა და სამუშაო ვიზების დამზადებას დაჰპირდა.

ბრალდებულმა აღნიშნულ მოქალაქეებს პასპორტები და ფული იმ მოტივით გამოართვა, რომ დოკუმენტებს ვიზის განაცხადის შესავსებად გამოიყენებდა, თუმცა თანხის მიღების შემდეგ შეთანხმება არ შეასრულა. ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების შედეგად, იგი უკანონოდ დაეუფლა ჯამში 15 ათას 168 ლარს.

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე ს.ფ.-ს, რომელიც სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადებას თავს არიდებდა, საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე -3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (დიდი ოდენობით თაღლითობა) ბრალი დაუსწრებლად წარედგინა, ხოლო სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. სამართალდამცველებმა ქალი ბრალდებულის სახით დააკავეს და პენიტენციურ დაწესებულებაში გადაიყვანეს.

გარდა აღნიშნული ფაქტისა, გამოძიებით დადგინდა, რომ ს.ფ.-მ 2021 წელს თაღლითობის კიდევ რამდენიმე ფაქტი ჩაიდინა, რომლებზეც გამოძიებას აწარმოებს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველო, ძველი თბილისის მთავარი სამმართველო და სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ზუგდიდის რაიონული სამმართველო.

თაღლითობის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით გრძელდება. დანაშაული 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## ახალციხე-ასპინძის გზაზე სატვირთო გადაბრუნდა

ახალციხე-ასპინძის დამაკავშირებელ გზაზე სატვირთო მანქანა გადაბრუნდა. ინფორმაციას „სამხრეთის კარიბჭე“ ავრცელებს.

მისივე ცნობით, რეზერვუარიდან სავარაუდოდ გუდრონი (ბიტუმი) იღვრებოდა, რომელიც მტკვარში ჩადიოდა.

ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიცია, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი და სახანძრო-სამაშველო სამსახური.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

## გამკაცრდა პნევმატური იარაღის ბრუნვასთან დაკავშირებული წესები

საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით მომზადებული წესები, რომელთა მიხედვითაც გამკაცრდა პნევმატური იარაღის ბრუნვასთან დაკავშირებული რეგულაციები.

მთავრობის შესაბამისი დადგენილების თანახმად, აიკრძალა პნევმატური იარაღის რეგისტრაციის გარეშე ტარება.

ახალი რეგულაციების საფუძველზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში ტარების უფლებით რეგისტრაციას ექვემდებარება ის სანადირო ან სპორტული პნევმატური იარაღი, რომლის ლულის სიგრძე 30 სმ-ზე მეტია ან იარაღის საერთო სიგრძე აღემატება 60 სმ-ს. ასევე, დაუშვებელია პნევმატური იარაღისთვის განკუთვნილი იმ ჭურვის გამოყენება, რომლის ტექნიკური მახასიათებლები აღემატება 4.5 მმ კალიბრს.

საქართველოს მთავრობის დადგენილების თანახმად, რეგისტრაციას არ ექვემდებარება ელექტროპნევმატური იარაღი (air soft) და საღებავების სასროლი ბურთულების პნევმატური იარაღი (paint ball).

ამასთანავე, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით, დეტალურად გაიწერა პნევმატური იარაღის შენახვისა და ტარების წესი.

კერძოდ:

– რეგისტრირებული პნევმატური იარაღის ტარების უფლების მქონე პირი ვალდებულია იარაღის ტარებისას პირადობის დამადასტურებელ საბუთთან ერთად თან იქონიოს პნევმატური იარაღის სარეგისტრაციო მოწმობა;

– მოქალაქე ვალდებულია, პნევმატური იარაღი შეინახოს ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს უსაფრთხოება და გამოირიცხოს მასთან გარეშე პირთა დაშვება;

– პნევმატური იარაღის შენახვა უნდა მოხდეს დაკეტილ სათავსოში ან/და აღნიშნულ იარაღს დამაგრებული უნდა ჰქონდეს უსაფრთხოების საკეტი;

– პნევმატური იარაღის ტარება დასაშვებია მხოლოდ სპეციალური შალითით, განმუხტულ, ჭურვებისგან განცალკევებულ მდგომარეობაში;



– ტარების ზემოაღნიშნული წესი არ ვრცელდება სპეციალურად განსაზღვრულ ადგილებზე (ტირი, სასროლეთი, ნადირობისთვის დაშვებული ადგილები, დასახლებული პუნქტიდან 500 მეტრის რადიუსის მიღმა არსებული ტერიტორია).

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრულია პასუხისმგებლობა პნევმატურ იარაღთან დაკავშირებული სამართალდარღვევებისთვის.

კერძოდ:

– პნევმატური იარაღის რეგისტრაციის გარეშე ტარება იწვევს პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით;

– პნევმატური იარაღის ტარების წესების დარღვევა იწვევს პირის დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით;

– დასახლებულ ადგილას პნევმატური იარაღიდან სროლა იწვევს პირის დაჯარიმებას 500 ლარით ოდენობით;

– ისეთი პნევმატური იარაღის შეძენა, შენახვა, ტარება, საქართველოში შემოტანა ან საქართველოდან გატანა, რომელიც არ დაიშვება სამოქალაქო ბრუნვაში იწვევს პირის დაჯარიმებას 500 ლარით ოდენობით.

ზემოაღნიშნული ყველა სამართალდარღვევის ჩადენისას მოხდება პნევმატური იარაღის კონფისკაცია.

# ბორის ჯონსონი: „რუსეთი 1945 წლის შემდეგ ევროპაში ყველაზე დიდ ომს გეგმავს“



– მტკიცებულებები მიუთითებს იმაზე, რომ რუსეთი გეგმავს ყველაზე დიდ ომს ევროპაში 1945 წლის შემდეგ.

ამის შესახებ ბორის ჯონსონმა ბიბისისთან ინტერვიუში განაცხადა.

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის თქმით, „ყველა ნიშანი იმაზე მეტყველებს, რომ გეგმა გარკვეული თვალსაზრისით უკვე დაწყებულია“.

ჯონსონის ინფორმაციით, დაზვერვა ვარაუდობს, რომ რუსეთი აპირებს შეჭრას, უკრაინის დედაქალაქ კიევის ალყაში მოქცევით.

ჯონსონმა ასევე აღნიშნა, რომ გაერთიანებული სამეფო რუსეთის წინააღმდეგ კიდევ უფრო შორს მიმავალ სანქციებს შემოიტანს, ვიდრე ადრე იყო შემოთავაზებული. მისი თქმით, დიდი ბრიტანეთი და აშშ რუსულ კომპანიებს „ფუნტით და დოლარებით ვაჭრობას“ შეუჩერებენ.

ჯონსონის შეფასებით, ეს ნაბიჯი „ძალიან ძლიერ დარტყმას მოახდენს“ თავისი გავლენით.

აშშ-ის მთავრობის უახლესი ინფორმაციით ვარაუდობენ, რომ 169.000-დან 190.000-მდე რუსი ჯარისკაცი ახლა განლაგებულია უკრაინის საზღვრის გასწვრივ როგორც რუსეთში, ასევე მეზობელ ბელორუსიაში.

# ბაიდენი: „პუტინი უკრაინასთან ომისათვის მზადაა!“



აშშ-ის პრეზიდენტმა ბაიდენმა განაცხადა, რომ პუტინმა ფაქტიურად დაამთავრა უკრაინასთან ომის სამზადისი.

დონბასში პროვოკაციები ინტენსიურად ხორციელდება, მიმდინარეობს ღონისძიებები, რომლებმაც უნდა გააადვილოს უკრაინაში მოსალოდნელი შეჭრა. საამისოდ რუსეთ-უკრაინის საზღვარზე ცოცხალი ძალა და ტექნიკა უკვე მზადაა.

პუტინმა თავის სატელიტებთან მოლაპარაკებებიც დაამთავრა. ეს, უწინარეს ყოვლისა, ბელორუსის პრეზიდენტი ლუკაშენკოა, აგრეთვე სომხეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის ლიდერები.

– პუტინი უკრაინასთან ომისათვის მზადაა, – ამბობს ბაიდენი.

# ზელენსკი პუტინს შეხვედრას სთავაზობს



უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმერ ზელენსკი რუსეთის პრეზიდენტს შეხვედრას სთავაზობს. ამის შესახებ მან მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე განაცხადა.

როგორც ზელენსკიმ აღნიშნა, მან არ იცის, რა სურს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს.

– მე არ ვიცი, რა სურს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს, ამიტომ ვთავაზობ მას შეხვედრას, – აღნიშნა ზელენსკიმ.

ზელენსკი მიუნხენში სიტყვით გამოვიდა. მისი ჩასვლის მიზეზი ის იყო, რომ უსაფრთხოების კონფერენციაზე უკრაინის ხმა გაჟღერებულიყო.

– მე დღეს უკრაინაში ვისაუზმე და უკრაინაში ვივახშმებ. ქვეყანას დიდი ხნით არ ვტოვებ, – განაცხადა ზელენსკიმ.

# ლუფტჰანზამ კიევის მიმართულებით ფრენები 28 თებერვლამდე შეწყვიტა




ლუფტჰანზა კიევის მიმართულებით 21-დან 28 თებერვლამდე ყველა ფრენას აჩერებს. გერმანული ავიაკომპანია ლუფტჰანზას ეკიპაჟმა შესაძლო საომარი სცენარის განვითარების გამო უკრაინაში გაფრენაზე უარი განაცხადა.

ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს.

თვითმფრინავი პარასკევს დილით ფრანკფურტიდან უკრაინაში არ ჩაფრენილა.

ავიარეისი მიემართებოდა ლვოვში, სადაც ბოლო დღეებში უსაფრთხოების მიზეზებით დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნის საელჩოებმა და ნატომ პერსონალი კიევიდან სამუშაოდ გადაიყვანეს.

„რეისი ელეიჩი 1538 დილის 9:00 საათზე უნდა აფრენილიყო, ბორტზე 38 მგზავრით, მაგრამ ეს არ მოხდა. ლვოვში ჩასვლის შემდეგ, თვითმფრინავს შუადღისას 62 ადამიანი უნდა დაებრუნებინა გერმანიაში“ – წერს მედია.

ავიაკომპანიამ კომენტარი გააკეთა ეკიპაჟის ქმედებებზე და აღნიშნა, რომ „ვერავის აიძულებენ უკრაინისკენ ფრენას“.

უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალურმა წარმომადგენელმა სანქციების პოლიტიკის საკითხებში ალექსეი მაკეევმა ტვიტერში დაწერა, რომ სურს, ავიაკომპანიისგან გაიგოს ამ გადაწყვეტილების მიღების მიზეზები.

მანამდე ჰოლანდიურმა ავიაკომპანია კლმ-მა შეწყვიტა ფრენები უკრაინაში, ბრიტიშ ეირვეიზმა კი გადაწყვიტა, არ შეესრულებინა ფრენები უკრაინის საჰაერო სივრცეში.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე მეხუთედ იასპარეზებს




საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ზედიზედ მეხუთედ იასპარეზებს. ეს ყველაფერი თბილისში დასრულებულ 2022 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის ჯგუფური მატჩებისას გაირკვა.

ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში თავი 4-მა ნაკრებმა მოიყარა – საქართველო, სლოვაკეთი, ბელარუსი, პოლონეთი.

ჯგუფიდან ორი საუკეთესო ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებდა. ფავორიტები საქართველო და სლოვაკეთი იყვნენ. ასეც მოხდა – ორივე გუნდმა დიდი ანგარიშებით სძლია ბელარუსსა და პოლონეთს და ევროპირველობაზე თამაშის უფლება უკვე 2 ტურის შემდეგ ჰქონდათ.

ჯგუფური ეტაპის ბოლო დღეს კი, ერთმანეთს პირველი ადგილისთვის და ევროპირველობაზე უკეთესი განთესისთვის ეთამაშნენ. საქართველოს ეროვნულმა გუნდმა 18:16 დაამარცხა სლოვაკეთი და პირველი ადგილი დაიკავა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ნაკრები დიდი დროის მანძილზე სოლიდურ უპირატესობას ფლობდა და 4-5 ბურთით იგებდა, მესამე მეოთხედის მიწურულს სიტუაცია მაინც დაიძაბა. სლოვაკებმა 8-წუთიანი მონაკვეთი 6:3 მოიგეს და სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანეს. დეიან სტანოევიჩის გუნდმა ბოლო მეოთხედში სლოვაკებს ბევრის გაკეთების შანსი არ მისცა და გამარჯვებამდე მივიდა.

შედეგად, საქართველოს ნაკრები ჯგუფიდან პირველი ადგილით გავიდა, რაც ნიშნავს, რომ ევროპირველობაზე განთესვისას ბოლოსწინა, მესამე კალათაში იქნება. ეს ჩვენი გუნდის ზედიზედ მეხუთე ევროპირველობა იქნება, სადაც საუკეთესო შედეგი მე-10 ადგილი გვაქვს.

# ძიუდოისტებმა ისრაელიდან ორი ოქრო წამოიღეს



თელ ავივის გრანდ სლემის დასკვნითი დღე ქართული გამოდგა. ჩვენმა ძიუდოისტთა გუნდმა ორი მედალი მოიპოვა და ორივე უმაღლესი სინჯის. ჩემპიონები ილია სულამანიძე (100) და გურამ თუშიშვილი (+100) გახდნენ.

სულამანიძე ფინალში ნიდერლანდელ მიხაელ კორელს შეხვდა და ძირითადი დროის დასრულებამდე 44 წამით ადრე სუფთა გდებით გაიმარჯვა.

მერვედფინალში სულამანიძემ ისრაელის სახელით მოასპარეზე სტანისლავ ბანჩუკი დაამარცხა; მეოთხედფინალში რუმინელ სერბანს იპონით სძლია; ნახევარფინალში კი აზერბაიჯანელ ზელიმ კოცოევსაც იპონით გაუმკლავდა.

თუშიშვილი კი, ოქროს მედლისთვის, ბრაზილიელ რაფაელ სილვას დაუპირისპირდა და დამატებით დროში მესამე გაფრთხილების ხარჯზე დაამარცხა. მანამდე თუშიშვილმა ჯერ უზბეკ ოლტიბოევს იპონით მოუგო, მეოთხედფინალში მონღოლ ერდენხუს სძლია, ნახევარფინალში კი, ლამაზი გდებით ტაჯიკი რახიმოვი დაამარცხა.

ამავე წონაში მესამე ადგილისთვის ონისე ბუღრიძე ავსტრიელ სტეფენ ჰეგის დაუპირისპირდა და ვაზარით წააგო, ხოლო 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში ონისე სანებლიძე აზერბაიჯანელ ზელიმ კოცოევთან დამატებით დროში გაფრთხილებით დამარცხდა.

შეგახსენებთ, რომ აქამდე ჩვენი ვაჟთა ნაკრები ისრაელში უმედლოდ იყო, ქალთა გუნდს კი ეთერ ლიპარტელიანის (57) მიერ მოპოვებული ვერცხლი ჰქონდა.

შედეგად, საქართველოს ნაკრებმა თელავივური გრანდ სლემი 3 მედლით დაამთავრა: 2 ოქრო და 1 ვერცხლი, რამაც საერთო გუნდურ ჩათვლაში მესამე ადგილზე გაგვიყვანა საფრანგეთისა და აზერბაიჯანის შემდეგ, ცალკე ვაჟებში კი მხოლოდ აზერბაიჯანმა გვაჯობა.

# შერმადინი და მაკფადენი ესპანეთის თასის ფინალში ვერ გავიდნენ




ესპანეთის თასზე სენსაცია არ მოხდა – გიორგი შერმადინის ტენერიფემ და თად მაკფადენის მურსიამ ესპანური გრანდები – რეალი და ბარსელონა ვერ დაამარცხეს და ფინალში ვერ გავიდნენ.

სამეფო თასის გათამაშების ნახევარფინალში ტენერიფელები რეალთან 74:94 დამარცხდა, ხოლო მურსიამ ბარსელონასთან შეხვედრა 90:103 დათმო.

საქართველოს ნაკრების ორივე წევრი თავის გუნდში გამორჩეული იყო. შერმადინმა ტენერიფელთა შორის საუკეთესო შედეგი დააფიქსირა: 15 წუთი, 14 ქულა, 2 მოხსნა. მატჩის ყველაზე უხვქულიანი მოთამაშე კი, რეალის ცენტრი ედი ტავარეში გახდა – 15 ქულა ჩააგდო.

შერმადინმა 6-დან 5 ორქულიანი და 4-დან 4 საჯარიმო ჩააგდო.

რაც შეეხება მაკფადენს, მურსიას ქართულპასპორტიანმა ამერიკელმა უკანახაზელმა 22:40 წუთში 18 ქულა, 2 პასი და 2 მოხსნა მიითვალა. როგორც ვალენსიასთან მეოთხედფინალში, მაკფადენმა ამჯერადაც 5 სამქულიანი ჩააგდო. მისი სროლის სტატისტიკა ასეთია: 4-დან 1 ორქულიანი, 9-დან 5 სამიანი და 1-დან 1 საჯარიმო.

ერთია, მაკფადენი მატჩის მსვლელობისას ფეხს იტკიებდა და ეს სანაკრებო ფანჯრის წინ მოხდა.

შერმადინიც და მაკფადენიც თბილისში უკვე გამოემგზავრნენ და დღეიდან საქართველოს ნაკრებს შეუერთდებიან.

შეგახსენებთ, რომ ჩვენი ეროვნული გუნდი მსოფლიოს 2023 წლის საკვალიფიკაციო ტურნირში ჩრდილოეთ მაკედონიას 24 თებერვალს თბილისში, ხოლო 27-ში სკოპიეში დაუპირისპირდება.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## კალეიდოსკოპი

# პატარძალმა საქმრო პირველად ქორწილში ნახა და შეუყვარდა



ბრიტანეთის საუთ-იორკშირის საგრაფოს ქალაქ შეფილდში ქალი ცოლად გაჰყვა მამაკაცს, რომელსაც ქორწილამდე ერთხელაც კი არ შეხვედრია. ქალმა საქმრო პირველად საქორწინო ცერემონიის დროს ნახა და მაშინვე შეუყვარდა.

27 წლის მასწავლებლის მიშელ ჯენკინსის თქმით, მან 2019 წელს გადაწყვიტა, რომ გათხოვების დრო იყო. მას სურდა ენახა მამაკაცი, რომელსაც ასევე სურდა ოჯახის შექმნა, მაგრამ არ იცოდა, ეს როგორ გაეკეთებინა. ინტერნეტით გაცნობას ის არც კი განიხილავდა, ვინაიდან უკვე ჰქონდა ამ მხრივ უარყოფითი გამოცდილება.

მის კითხვაზე პასუხად გამოდგა ტელეშოუ სახელწოდებით „ქორწინება ერთი ნახვით“. მისი წესების თანახმად, წამყვანები თავად ურჩევენ მონაწილეებს საქმროებს, რომლებსაც ისინი უშუალოდ ქორწილში გაიცნობენ. ჯენკინსმა განცხადება შოუში მონაწილეობაზე 2020 წლის მარტში შეიტანა და სტუმრებით სავსე დარბაზში აღმოჩნდა, სადაც მას უკვე ელოდა მომავალი მეუღლე, იტ-სპეციალისტი ოუენი.

– ყველაფერი თითქოს ნისლში ხდებოდა, ვინაიდან გადავწყვიტე, სათვალე არ გამეკეთებინა, – იხსენებს ქალი, – მხოლოდ როდესაც მივუახლოვდი, მაშინ მოვახერხე მისი სახის დანახვა. შაბედნიეროდ, ის საკმაოდ სიმპათიური აღმოჩნდა.

ქორწილის პირველ ღამეს წყვილმა დილის ოთხ საათამდე ისაუბრა. აღმოჩნდა, რომ მათ ბევრი საერთო ჰქონდათ. ერთ კვირაში ჯენკინსი ქმარს სიყვარულში გამოუტყდა. თაფლობის თვის შემდეგ ისინი ერთად ცხოვრობდნენ, ამას პანდემიაც დაემთხვა და ახლა უკვე 24 საათს ერთად ატარებდნენ.

# მამაკაცი 14 ქალზე დაქორწინდა და მათ ხარჯზე ცხოვრობდა



ინდოეთის ოდიშას შტატში დააპატიმრეს მამაკაცი, რომელიც 43 წლის განმავლობაში 14-ჯერ დაქორწინდა და ცოლების ხარჯზე ცხოვრობდა.

65 წლის რამეშ ჩანდრა სვეინმა პირველად 1979 წელს იქორწინა და მას შემდეგ ხუთი ბავშვის მამობა მოასწრო. დაახლოებით 2020 წლიდან მან ნადირობა დაიწყო განქორწინებულ შეძლებულ ქალებზე, რომლებსაც თავს სხვადასხვა სახელით წარუდგენდა. მისი ყველა ცოლი სხვადასხვა შტატში ცხოვრობდა და ერთმანეთის არსებობის თაობაზე მათთვის არაფერი იყო ცნობილი.

პოლიციის ვერსიით, ქორწილისთანავე სვეინი ახლადშერთულ მეუღლეს ფულს სთხოვდა და ქონების მის სახელზე გადაფორმებას მოითხოვდა, ხოლო როდესაც ამ ყოველივეს მიაღწევდა, უგზო-უკვლოდ უჩინარდებოდა.

ეს ყოველივე მამაკაცის ერთ-ერთი მსხვერპლის წყალობით გამომჟღავნდა. მასწავლებელმა ქალმა, რომელზეც სვეინმა იქორწინა, მის ტელეფონში სხვა ქალისგან შესული შეტყობინებები შენიშნა და გაარკვია, რომ ის მათზეც იყო დაქორწინებული. ამის შემდეგ გაოგნებულმა ქალმა დახმარებისთვის პოლიციას მიმართა.

დღემდე უცნობია, თუ სულ რა რაოდენობის თანხის გამომუშავება შეძლო სვეინმა მოტყუებული ქალების ხარჯზე. დაპატიმრების შემდეგ თაღლითს ხუთი პირადობის დამადასტურებელი მოწმობა აღმოაჩნდა. მას შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# უშუქოდ ყოფნისთვის მამაკაცმა ტრილიონი ფუნტის ქვითარი მიიღო



დიდ ბრიტანეთში მამაკაცმა მიიღო ქვითარი ასტრონომიულ თანხაზე მას შემდეგ, რაც რამდენიმე დღე უშუქოდ გაატარა.

აღნიშნული ინციდენტი უესტ-იორკშირის საგრაფოს ქალაქ ჰებდენ-ბრიჯში მოხდა, რომელსაც 2021 წლის ნოემბერში ქარიშხალმა გადაუარა. გამძვინვარებული სტიქიის გამო ადგილობრივ მცხოვრებლებს რამდენიმე დღის უშუქოდ გატარება მოუწიათ. მოგვიანებით ადგილობრივმა ენერგეტიკულმა კომპანიამ კლიენტებს შეტყობინებები გაუგზავნა ელექტროენერგიის გამორთვასთან დაკავშირებით კომპენსაციის თაობაზე.

ჰებდენ-ბრიჯის მცხოვრებმა გარეტ ჰიუიზმა ტვიტერში გამოაქვეყნა ენერგოკომპანიისგან მიღებული ქვითრის ფოტოსურათი. საბუთიდან გამომდინარე, კომპანია აპირებს, მას ორ ტრილიონ ფუნტ სტერლინგზე მეტი თანხა გადაუხადოს.

– რამდენიმე დღის ელექტრობის გარეშე კომპენსაციისთვის, თუმცა, სანამ ქვითრის გასანაღდებლად მივალ, იქნებ მითხრათ, ნამდვილად შეძლებთ ჩემთვის ასეთი თანხის გადახდას? – დაინტერესდა ბრიტანელი მიღებული შეტყობინების შემდეგ.

როგორც გაირკვა, ასეთივე ქვითრები მიიღო კომპანიის კიდევ 74-მა კლიენტმა. შეცდომა იმის გამო მოხდა, რომ თანამშრომელმა, რომელიც კომპენსაციებით იყო დაკავებული. გადასახდელ თანხაში შეცდომით მრიცხველის სარეგისტრაციო ნომერი ჩაწერა. კომპანიამ უკვე მოიბოდიშა მომხდარის გამო და განაცხადა, რომ უახლოეს დროში ყველა სტიქიისგან დაზარალებული მიიღებს ჩასწორებულ ქვითარს, რომელზეც კომპენსაციის თანხა იქნება მითითებული.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## განცხადებები

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე მისვლით. კეთდება მხოლოდ იტალიური და იაპონური მოსახსნელი კბილის პროთეზები. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

# ბორჯღალოსნები რუსეთისთვის შეცვლილი შემადგენლობით ემზადებიან



საქართველოს მორაგბეთა ნაკრები 27 თებერვალს „დინამო არენაზე“ გასამართი 250-ე ტესტისთვის გაფართოებული შემადგენლობით ემზადება.

ლევან მაისაშვილის გუნდი 2022 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის მე-3 ტურში რუსეთს ერკინება. ამ გუნდს 1993 წლიდან 26-ედ ვეთამაშებით და 24-მატჩიანი წაუგებელი სერია გვაქვს. 29 წლის წინ, პირველ მატჩში, რუსეთმა სოპოტში 15:9 მოიგო და 2002 წელს თბილისში ფრეს (12:12) გამორჩა, დანარჩენი 23 რკენა კი, საქართველოს გამარჯვებით დასრულდა – აქედან ბოლო 20 მიჯრით.

შარშან „დათვებს“ 2-ჯერ შევხვდით: ჯერ „მიხეილ მესხზე“ 16:7 დავამარცხეთ, მერე კი, კალინინგრადში – 23:6. საქართველოს რუსეთისთვის გატანილი აქვს 70 ლელო (მიიღო 17) და 618 ქულა (273 გაშვებული).

შეხვედრა 2023 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი ეტაპის ეგიდითაც ტარდება და გამარჯვების შემთხვევაში, „ბორჯღალოსნებს“ საფრანგეთის საგზური დაბევებული ექნებათ, მაგრამ დარჩენილ თამაშებში პირველი ადგილისთვის ბრძოლას გააგრძელებენ.

სამწვრთნელო შტაბმა გაფართოებულ რაზმში სულ 33 მოთამაშეს უხმო. აქედან, 19 მორკინალია, ხოლო 14 ხაზის მოთამაშე. წინა 2 მატჩის შემდეგ, გუნდს უბრუნდებიან დავით ნინიაშვილი და კოტე მიქაუტაძე, რომლებმაც ტრავმები მოიშუშეს. მწვრთნელებმა უხმეს გიორგი კვესელაძეს გლოსთერიდან და ბექა გორგაძეს პოდან, რომლებსაც პორტუგალიისა და ნიდერლანდების წინააღმდეგ არ უთამაშიათ.

გაფართოებული შემადგენლობა რუსეთთან სათამაშოდ კი ასეთია:

შერკინება: გურამ გოგიჩაშვილი, მიხეილ ნარიაშვილი, ნიკა აბულაძე, ლუკა ჯაფარიძე, ნიკოლოზ ხატიაშვილი, გიორგი პერტაია; შალვა მამუკაშვილი, ჯაბა ბრეგვაძე, გიორგი ჭყოიძე; კოტე მიქაუტაძე, ლაშა ჯაიანი, ნოდარ ჭეიშვილი, გრიგორ ქერდიყოშვილი; ბექა გორგაძე, გიორგი ცუცქირიძე, თორნიკე ჯალაღონია, ოთარ გიორგაძე, ლუკა ივანიშვილი, სანდრო მამამთავრიშვილი.

ხაზი: ვასილ ლობჟანიძე, გელა აფრასიძე, მიხეილ ალანია, თედო აბჟანდაძე, გიორგი ბაბუნაშვილი; მერაბ შარიქაძე, გიორგი კვესელაძე, აკა ტაბუცაძე, დემე თაფლაძე, მირიან მოდებაძე, თორნიკე კახოიძე, დავით მესხი, ლაშა ხმალაძე, დავით ნინიაშვილი.

# ბასილაშვილმა ტიტული ვერ დაიცვა



ნიკოლოზ ბასილაშვილი დოჰას საჩოგბურთო ტურნირის ფინალში 3:6; 4:6 დამარცხდა ესპანელ რობერტო ბაუტისტა აგუტთან და ტიტული ველარ შეინარჩუნა.

შეგახსენებთ, რომ შარშან ბასილაშვილმა დოჰაში სწორედ ბაუტისტა აგუტი დაამარცხა. ამჯერად კი ესპანელმა რევანში აიღო.

არადა, მატჩის დასაწყისი იმედიანი იყო. ბასილაშვილი 3:1 დაწინაურდა, მაგრამ ზედიზედ ხუთი გეიმი წააგო და სეტი დათმო.

ასევე იმედიანი გამოდგა მეორე სეტის დასაწყისი – 3:0 ბასილაშვილის სასარგებლოდ, მაგრამ საქმის ბოლომდე მიყვანა ვერც მეორე ჯერზე მოახერხა.

შეგახსენებთ, ჩვენიანმა მერვედფინალში შვედ ელიას ინერს 6:4; 7:5 მოუგო, მეოთხედფინალში უნგრელ მარტონ ფუქსოვიჩს 1:6; 6:3; 7:6 სძლია, ხოლო ნახევარფინალში ბასილაშვილმა ფრანგი არტურო რინდერკნაიხი 6:4; 6:2 დაამარცხა.

# საფინა-ბერულავას დუეტმა ოლიმპიადაზე ისტორიული შედეგი აჩვენა

პეკინის ზამთრის 24-ე ოლიმპიურ თამაშებზე ფიგურულ ციგურაობაში კარინა საფინასა და ლუკა ბერულავას დუეტმა სპორტულ წყვილებში ტურნირი მე-9 ადგილით დაასრულა.

საფინა-ბერულავას დუეტმა მათთვის სადებიუტო ოლიმპიურ თამაშებზე თავისუფალ პროგრამაში მსაჯებისგან 126.33-ქულიანი შეფასება მიიღო და 16 მონაწილეს შორის მე-8 ადგილი დაიკავა, ორივე პროგრამის შედეგად კი, ჯამური 192.44 ქულით მე-9 შედეგი აჩვენეს.

აღსანიშნავია, რომ საქართველო სპორტულ წყვილებში ოლიმპიურ თამაშებზე პირველად იყო წარმოდგენილი. დებიუტშივე ლიდერთა შორის ასპარეზობა კი უდავოდ შესანიშნავი შედეგია.

შეგახსენებთ, რომ პეკინში მარია კაზაკოვასა და გიორგი რევიას წყვილმა ყინულზე ცეკვებში მე-19 ადგილი დაიკავა; ქალთა ერთეულებში ანასტასია გუბანოვამ მე-11 ადგილით დაასრულა გამოსვლა; კაცთა ერთეულებში კი, მორის ყვითელაშვილს მე-10 შედეგი ჰქონდა; გუნდურში კი, სადაც საქართველოს ნაკრებს დებიუტი ჰქონდა, მე-6 ადგილი დაიკავა.

საქართველოს ფიგურულ მოციგურავეთა ნაკრებს წინ მსოფლიო ჩემპიონატი ელის.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# შედეგები

## 19 თებერვალი

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ვესტ ჰემი-ნიუკასლი ........ 1:1
არსენალი-ბრენტფორდი ........ 2:1
ასტონ ვილა-უოტფორდი ........ 0:1
ბრაიტონი-ბარნლი ........ 0:3
კრ.პალასი-ჩელსი ........ 0:1
ლივერპული-ნორვიჩი ........ 3:1
საუთჰემპტონი-ევერტონი ........ 2:0
სიტი-ტოტენჰემი ........ 2:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 26 | 20 | 3 | 3 | 63-17 | 63 |
| 2.ლივერპული | 25 | 17 | 6 | 2 | 64-20 | 57 |
| 3.ჩელსი | 25 | 14 | 8 | 3 | 49-18 | 50 |
| 4.მანჩესტერი | 25 | 12 | 7 | 6 | 40-32 | 43 |
| 5.ვესტ ჰემი | 26 | 12 | 6 | 8 | 45-34 | 42 |
| 6.არსენალი | 23 | 13 | 3 | 7 | 36-26 | 42 |
| 7.ტოტენჰემი | 23 | 12 | 3 | 8 | 31-31 | 39 |
| 8.ვულვზი | 23 | 11 | 4 | 8 | 21-17 | 37 |
| 9.ბრაიტონი | 25 | 7 | 12 | 6 | 25-28 | 33 |
| 10.საუთჰემპტონი | 25 | 7 | 11 | 7 | 32-37 | 32 |
| 11.ლესტერი | 22 | 7 | 6 | 9 | 36-41 | 27 |
| 12.ასტონ ვილა | 24 | 8 | 3 | 13 | 31-37 | 27 |
| 13.კრ.პალასი | 25 | 5 | 11 | 9 | 32-36 | 26 |
| 14.ბრენტფორდი | 26 | 6 | 6 | 14 | 27-42 | 24 |
| 15.ლიდსი | 23 | 5 | 8 | 10 | 27-46 | 23 |
| 16.ევერტონი | 23 | 6 | 4 | 13 | 28-40 | 22 |
| 17.ნიუკასლი | 24 | 4 | 10 | 10 | 26-45 | 22 |
| 18.უოტფორდი | 24 | 5 | 3 | 16 | 24-43 | 18 |
| 19.ბარნლი | 22 | 2 | 11 | 9 | 20-29 | 17 |
| 20.ნორვიჩი | 25 | 4 | 5 | 16 | 15-53 | 17 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ფულემი-ჰადერფილდი ........ 1:2
ბრისტოლი-მიდლსბრო ........ 2:1
დერბი-პიტერბრო ........ 1:0
კარდიფი-ბლექპული ........ 1:1
ქოვენთრი-ბარნსლი ........ 1:0
ქპრ-ჰალი ........ 1:1
ლუთონი-ვესტ ბრომვიჩი ........ 2:0
პრესტონი-რედინგი ........ 2:3
სტოკი-ბირმინგემი ........ 2:2
შეფილდი-სუონსი ........ 4:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

არმინია-უნიონი ........ 1:0
აუგსბურგი-ფრაიბურგი ........ 1:2
ვოლფსბურგი-ჰოფენჰაიმი ........ 1:2
შტუტგარტი-ბოხუმი ........ 1:1
კიოლნი-აინტრახტი ........ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 22 | 17 | 1 | 4 | 70-25 | 52 |
| 2.დორტმუნდი | 22 | 15 | 1 | 6 | 57-36 | 46 |
| 3.ლევერკუზენი | 23 | 12 | 5 | 6 | 60-39 | 41 |
| 4.ჰოფენჰაიმი | 23 | 11 | 4 | 8 | 45-35 | 37 |
| 5.ფრაიბურგი | 23 | 10 | 7 | 6 | 36-26 | 37 |
| 6.კიოლნი | 23 | 9 | 8 | 6 | 35-37 | 35 |
| 7.ლაიფციგი | 22 | 10 | 4 | 8 | 43-27 | 34 |
| 8.მაინცი | 23 | 10 | 4 | 9 | 34-26 | 34 |
| 9.უნიონი | 23 | 9 | 7 | 7 | 29-31 | 34 |
| 10.აინტრახტი | 23 | 8 | 7 | 8 | 33-35 | 31 |
| 11.ბოხუმი | 23 | 8 | 5 | 10 | 25-33 | 29 |
| 12.ვოლფსბურგი | 23 | 8 | 3 | 12 | 24-35 | 27 |
| 13.გლადბახი | 22 | 7 | 5 | 10 | 30-40 | 26 |
| 14.არმინია | 23 | 5 | 10 | 8 | 22-29 | 25 |
| 15.ჰერტა | 22 | 6 | 5 | 11 | 24-45 | 23 |
| 16.აუგსბურგი | 23 | 5 | 7 | 11 | 25-40 | 22 |
| 17.შტუტგარტი | 23 | 4 | 7 | 12 | 27-43 | 19 |
| 18.ფიურტი | 22 | 3 | 4 | 15 | 20-57 | 13 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ვერდერი-ინგოლშტადი ........ 1:1
ზანდჰაუზენი-ჰამბურგი ........ 1:1
კილი-კარლსრუე ........ 0:2
ნიურნბერგი-რეგენსბურგი ........ 2:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

გრანადა-ვილიარეალი ........ 1:4
ოსასუნა-ატლეტიკო ........ 0:3
კადისი-ხეტაფე ........ 1:1
რეალი-ალავესი ........ 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 25 | 17 | 6 | 2 | 51-20 | 57 |
| 2.სევილია | 24 | 14 | 8 | 2 | 36-16 | 50 |
| 3.ბეტისი | 24 | 13 | 4 | 7 | 45-29 | 43 |
| 4.ატლეტიკო | 25 | 12 | 6 | 7 | 45-34 | 42 |
| 5.ვილიარეალი | 25 | 10 | 9 | 6 | 42-24 | 39 |
| 6.ბარსელონა | 23 | 10 | 9 | 4 | 38-27 | 39 |
| 7.სოსიედადი | 23 | 10 | 8 | 5 | 24-21 | 38 |
| 8.ბილბაო | 24 | 8 | 10 | 6 | 25-21 | 34 |
| 9.ოსასუნა | 25 | 8 | 8 | 9 | 25-30 | 32 |
| 10.სელტა | 24 | 8 | 7 | 9 | 28-25 | 31 |
| 11.რაიო | 24 | 9 | 4 | 11 | 28-29 | 31 |
| 12.ვალენსია | 24 | 7 | 9 | 8 | 36-38 | 30 |
| 13.ელჩე | 25 | 7 | 8 | 10 | 28-34 | 29 |
| 14.ესპანიოლი | 24 | 7 | 7 | 10 | 29-34 | 28 |
| 15.ხეტაფე | 25 | 6 | 8 | 11 | 24-28 | 26 |
| 16.მალიორკა | 23 | 6 | 8 | 9 | 22-36 | 26 |
| 17.გრანადა | 25 | 5 | 9 | 11 | 27-40 | 24 |
| 18.კადისი | 25 | 3 | 11 | 11 | 21-39 | 20 |
| 19.ალავესი | 25 | 5 | 5 | 15 | 19-42 | 20 |
| 20.ლევანტე | 24 | 2 | 8 | 14 | 24-50 | 14 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

სარაგოსა-ლას პალმასი ........ 2:1
ხირონა-ეიბარი ........ 0:1
ტენერიფე-იბიცა ........ 2:0
სოსიედადი ბ-მალაგა ........ 2:0

**იტალია. სერია ა**

სამპდორია-ემპოლი ........ 2:0
რომა-ვერონა ........ 2:2
სალერნიტანა-მილანი ........ 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 26 | 17 | 5 | 4 | 52-28 | 56 |
| 2.ინტერი | 24 | 16 | 6 | 2 | 55-20 | 54 |
| 3.ნაპოლი | 25 | 16 | 5 | 4 | 46-17 | 53 |
| 4.იუვენტუსი | 26 | 13 | 8 | 5 | 38-23 | 47 |
| 5.ატალანტა | 24 | 12 | 8 | 4 | 46-29 | 44 |
| 6.ლაციო | 25 | 12 | 6 | 7 | 52-39 | 42 |
| 7.რომა | 26 | 12 | 5 | 9 | 44-34 | 41 |
| 8.ფიორენტინა | 24 | 12 | 3 | 9 | 43-34 | 39 |
| 9.ვერონა | 26 | 10 | 7 | 9 | 49-42 | 37 |
| 10.ტორინო | 25 | 9 | 6 | 10 | 32-26 | 33 |
| 11.ემპოლი | 26 | 8 | 7 | 11 | 38-50 | 31 |
| 12.სასუოლო | 25 | 7 | 9 | 9 | 41-44 | 30 |
| 13.ბოლონია | 24 | 8 | 4 | 12 | 29-40 | 28 |
| 14.სამპდორია | 26 | 7 | 5 | 14 | 35-42 | 26 |
| 15.სპეცია | 25 | 7 | 5 | 13 | 27-46 | 26 |
| 16.უდინეზე | 23 | 5 | 9 | 9 | 30-40 | 24 |
| 17.კალიარი | 25 | 4 | 9 | 12 | 25-46 | 21 |
| 18.ვენეცია | 24 | 5 | 6 | 13 | 22-43 | 21 |
| 19.ჯენოა | 25 | 1 | 12 | 12 | 21-46 | 15 |
| 20.სალერნიტანა | 24 | 3 | 5 | 16 | 19-55 | 13 |

**იტალია. სერია ბ**

ასკოლი-ალესანდრია ........ 3:0
ვიჩენცა-სპალი ........ 1:1
მონცა-პიზა ........ 1:2
პარმა-ტერნანა ........ 2:3
რეჯინა-პორდენონე ........ 2:0
პერუჯა-კრემონეზე ........ 0:0

**საფრანგეთი. ლიგა 1**

ლანსი-ლიონი ........ 1:1
ნანტი-პსჟ ........ 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 25 | 18 | 5 | 2 | 53-22 | 59 |
| 2.მარსელი | 24 | 13 | 7 | 4 | 38-21 | 46 |
| 3.ნიცა | 24 | 13 | 4 | 7 | 36-21 | 42 |
| 4.სტრასბური | 24 | 12 | 5 | 7 | 46-29 | 41 |
| 5.ნანტი | 25 | 11 | 5 | 9 | 34-29 | 38 |
| 6.ლიონი | 25 | 10 | 9 | 6 | 34-31 | 38 |
| 7.რენი | 24 | 11 | 4 | 9 | 43-22 | 37 |
| 8.მონაკო | 24 | 10 | 7 | 7 | 37-26 | 37 |
| 9.ლანსი | 25 | 10 | 7 | 8 | 40-36 | 37 |
| 10.ლილი | 25 | 9 | 9 | 7 | 32-35 | 36 |
| 11.მონპელიე | 24 | 10 | 4 | 10 | 38-34 | 34 |
| 12.ბრესტი | 24 | 8 | 7 | 9 | 33-36 | 31 |
| 13.ანჟე | 24 | 7 | 8 | 9 | 30-35 | 29 |
| 14.რეიმსი | 24 | 6 | 9 | 9 | 27-28 | 27 |
| 15.კლერმონი | 24 | 6 | 6 | 12 | 24-41 | 24 |
| 16.ტრუა | 24 | 5 | 6 | 13 | 21-36 | 21 |
| 17.ლორიანი | 24 | 4 | 9 | 11 | 20-38 | 21 |
| 18.მეცი | 25 | 4 | 9 | 12 | 25-45 | 21 |
| 19.სტ.ეტიენი | 24 | 5 | 6 | 13 | 24-45 | 21 |
| 20.ბორდო | 24 | 4 | 8 | 12 | 36-61 | 20 |

**საფრანგეთი. ლიგა 2**

სოშო-აიაჩო ........ 0:1
გენგამი-პარიზი ........ 1:1
კევიი-ვალანსიენი ........ 1:1
ნანსი-დიუნკერკი ........ 2:0
ნიმი-გრენობლი ........ 3:1
ნიორი-ოსერი ........ 0:1
პო-კაენი ........ 1:0
როდეზი-ამიენი ........ 1:1
ბასტია-დიჟონი ........ 0:0

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

ნაიმეგენი-ვალვაიკი ........ 1:1
ტილბურგი-აიაქსი ........ 0:1
ალკმაარი-ერაკლესი ........ 2:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ჟილ ვისენტე-ბელენენსეში ........ 2:0
ფერეირა-ვიზელა ........ 2:1
გიმარაეში-აროუკა ........ 1:3

**ბელგია. ა დივიზიონი**

სერკლი-ბეერსხოტი ........ 2:0
კორტრაიკი-ვარეგემი ........ 5:0
ოსტენდე-სტანდარდი ........ 1:0
შარლერუა-სენ ჟილუა ........ 0:3

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ადმირა-ლინცერი ........ 0:3
აუსტრია-ჰარტბერგი ........ 2:0
რიდი-ტიროლი ........ 3:2

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ლივინგსტონი-სტ.მირენი ........ 1:1
მოზერველი-აბერდინი ........ 1:1
სტ.ჯონსონი-ჰარტსი ........ 2:1
ჰიბერნიანი-როსი ........ 2:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

მალათია-ანთალია ........ 1:2
ქაისერი-გირესუნი ........ 2:1
ბეშიქთაში-ალთაი ........ 1:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

იონიკოსი-ოფი ........ 0:0
ატრომიტოსი-ასტერასი ........ 2:0
პანეთოლიკოსი-პანათინაიკოსი ........ 1:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლუგანო-სტ.გალენი ........ 0:2
ბაზელი-ლოზანა ........ 3:0

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ბანიკი-სიგმა ........ 1:0
ზლინი-სლოვაცკო ........ 1:0
პარდუბიცე-ჰრადეც კრალოვე ........ 0:0
ჩესკე-პლზენი ........ 0:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

იაგელონია-კრაკოვია ........ 0:0
სლასკი-პიასტი ........ 1:3
ნეჩეცა-ლეგია ........ 0:0

**უნგრეთი. 1 დივიზიონი**

კიშვარდა-პაკში ........ 3:3
დირმოტი-ზალაეგერსეგი ........ 0:1
მტკ-ფერენცვაროში ........ 0:0


## სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

**მადლიერ პაციენთა რიცხვი ათასობითაა:**

**ლია თეთრაშვილი:** მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

**დათო ჭელიძე:** წლების განმავლობაში ვიტანჯებოდი ბუასილით. ყველას ვურჩევ, მიაკითხოს ლამარა თოდუას, ნამდვილად სასწაულს ახდენს მისი მალამო.

**ჟანა ამირანაშვილი:** ბავშვს საბავშო ბაღში გადაედო ტილები, შემდეგ მთელს ოჯახს გადაგვდო. ლამარა თოდუას მიერ დამზადებული ნაყენით ერთ პროცედურის შემდეგ სრულიად გავთავისუფლდით.

**ლილი კიზირია:** 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**


## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების მშობლიური სოფელი; 2. ბურუსი, ჯანღი; 3. ზღვის სიღრმის საზომი ხელსაწყო; 5. წვრილი, მოყვითალო წინწკლები სახეზე, ხელებზე; 6. „ლივერპულის“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 7. ხმელთაშუა ზღვისპირა კურორტი თურქეთში; 11. კომპანია „სონის“ დამფუძნებელი; 13. მძიმე, გარდამავალი პერიოდი; 14. უვადო ქართული ხმალი; 15. ეკლესია თბილისში; 16. ქართული ნაციონალური კერძი; 17. ევროსაბჭოს პრეზიდენტი; 18. ქართული ტელეკომპანია; 20. უდაბნო ჩინეთსა და მონღოლეთში.

**თარაზულად:** 1. ვიწროყელიანი ღვინის სასმისი; 4. მწვადის შეწვისას წვეთ-წვეთად ჩამოჟონილი ცხიმი; 8. ნელტემპიანი სამეჯლისო ცეკვა; 9. ფრანგული ავტომობილი; 10. ერთ-ერთი რელიგია; 12. მარგალიტის ყელსაბამის ძველი სახელწოდება; 14. კინოპრემია ესპანეთში; 15. ქართველ მამაკაცთა ძველებური ტყავის ფეხსაცმელი; 16. სუბტროპიკული ხილი; 18. საწვავი სითხე; 21. ქართველი უფლოგი; 22. ბანქოს სათამაშო მაგიდა; 23. ზღვის ძუძუმწოვარა ცხოველი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პორტერი; 2. საკვოიაჟი; 3. სკრეპერი; 4. დამიანე; 5. ფაზისი; 9. როლერი; 11. ჯანდარა; 12. ტაბიძე; 14. ბაიკერი; 18. ოდინი; 19. მედეა.

**თარაზულად:** 4. დიჟონი; 5. ფელამუში; 6. რკინა; 7. ომმეტრი; 8. ქვევრი; 10. მენჯი; 13. რებუსი; 16. რადა; 17. პესო; 20. კუვეზი; 21. ტეკილა; 22. ზანდური; 23. ესკიმო.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მინდია; 2. ლვოვი; 3. ზული; 5. კამენა; 6. სუეცი; 7. არლანდა; 11. ნიანგი; 13. ალაბამა; 14. ბონზა; 15. მაკრონი; 16. ტარიელი; 17. ნადალი; 19. ოპეკი; 20. ტატა.

**თარაზულად:** 1. მალხაზი; 4. ფურკა; 8. ლარნი; 9. მონე; 10. დივანი; 12. კაიმანი; 14. ბონი; 15. მაჭახელა; 16. ხუნდი; 18. ბორდო; 21. დუნაი; 22. ლიპტონი; 23. კოლხეთი.


**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

21 თებერვალი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9778

ევრო — 3.3843

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.0546

100 რუსული რუბლი — 3.9314

## ამინდის პროგნოზი 21 თებერვლისათვის




## ფრენკი დე იონგი: „მესის წასვლა მოულოდნელი იყო“



ბარსელონას ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა ფრენკი დე იონგმა მესის გუნდიდან წასვლაზე ისაუბრა და თქვა, რომ მისთვის ეს მოულოდნელი იყო, რადგან მას სჯეროდა, რომ ლეო გუნდში დარჩებოდა:

– აეროპორტში ვიყავი, როდესაც მესიჯი მივიღე, რომ მესი გუნდს ტოვებდა და ჩემთვის ეს რთული დასაჯერებელი იყო, რადგან იმედი მქონდა, რომ ლეო არ წავიდოდა. მიუხედავად ამისა, რეალობას უნდა შევეგუოთ და მესის ახალ გუნდში წარმატება ვუსურვოთ.

## ანჩელოტი: „პსჟ-ს დამარცხება შეგვიძლია“



მადრიდის რეალის მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ პსჟ-სთან დაპირისპირებაზე ისაუბრა და თქვა, რომ მის გუნდს შეუძლია პარიზელების დამარცხება იმ შემთხვევაში, თუ ისინი თავის საუკეთესო თამაშს აჩვენებენ:

– პარიზში კარგად არ გვითამაშია, თუმცა შედეგი სავალალო არ არის და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ შემდეგ ეტაპზე გავიდეთ. ამის გაკეთება ნამდვილად შეგვიძლია.

## ტომას ტუხელმა თავის მომავალზე ისაუბრა



ჩელსის მთავარმა მწვრთნელმა ტომას ტუხელმა იმ ჭორებზე ისაუბრა, რომელთა მიხედვითაც, ის, შესაძლოა, ჩელსიდან წავიდეს.

მისი თქმით, ეს ჭორები სიმართლისგან საკმაოდ შორს არის და ის არსად წასვლას არ აპირებს:

– ჩელსის ყოველთვის ვუკავშირებ ჩემს მომავალს და მინდა ყველას ვუთხრა, რომ მინიმუმ რამდენიმე წელიწადი აქ ვიქნები. ჩელსისთვის ძალებს არ დავიშურებ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

ტელეფონი რეკავს და ქალის ხმა კითხულობს:

– ალო, ეს ქალთა კონსულტაციაა?

– დიახ, რით შეგვიძლია დაგეხმაროთ?

– მითხარით, მუხრუჭის სატერფული მარჯვნივაა თუ მარცხნივ?

●●●

ცოლი და ქმარი სადილობენ. ამ დროს კედლის მიღმა მეზობლის ხმა ისმის:

– თქვენი დედა...!

ქმარი ცოლს ეუბნება:

– ტელევიზორი ჩართე, სულ დამავიწყდა, დღეს ჩვენები ფეხბურთს თამაშობენ.

●●●

ველურებმა ეგზოტიკის მოყვარული ტურისტი დაიჭირეს, ხეზე მიაბეს, ცეცხლი დაანთეს, ზედ ქვაბი შემოდგეს და ერთ-ერთი ტურისტს ეკითხება:

– რა გქვია?

– და რა მნიშვნელობა აქვს, მაინც შემჭამთ!

– როგორ თუ რა მნიშვნელობა აქვს და მენიუ?

●●●

მასწავლებელი კითხულობს:

– აბა, ბავშვებო, რომელია ყველაზე კარგი დრო ვაშლის საკრეფად?

– როდესაც ძაღლი დაბმულია, მას, – უპასუხა გიგიმ.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს, ერთი მეორეს ეკითხება:

– რას ფიქრობ ნიუტონის მესამე კანონზე?

– არ მინახავს, პირველი ორი არ მომეწონა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## თათია თოფურია „ფორმულაზე“ ახალ გადაცემას წაიყვანს



ჟურნალისტი თათია თოფურია „მთავარი არხიდან“ „ფორმულაზე“ გადავიდა და სულ მალე მაყურებელს ახალ გადაცემას შესთავაზებს:

„თავგადასავალი“ – ასე ჰქვია გადაცემას, რომელიც „დროების“ შემოქმედებითი ჯგუფის სიახლეა.

ეს არის გადაცემათა ციკლი, რომელშიც ცნობილი ადამიანები პირად თუ პროფესიულ გზაზე თავს გადამხდარ უცნობ ეპიზოდებსა და ფაქტებს თათია თოფურიასთან ერთად გაიხსენებენ. ისინი ისაუბრებენ იმ გრძნობებზეც, რომლებიც, წარსულის გააზრებასთან ერთად, მათ ცხოვრებისეულ თავგადასავალს წარმოადგენს.

თათია თოფურიას გადაცემაში „თავგადასავალი“ თავმოყრილია საარქივო ვიდეო და ფოტო მასალა, მოგონებები იმ ადამიანების მონაწილეობით, რომლებიც ჩვენი გმირის სუბიექტურ პორტრეტსა და სამყაროს ქმნიან.

## გუჯა ბურდული საავადმყოფოში მოხვდა



მსახიობი გუჯა ბურდული რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოხვდა. ინფორმაცია ჟურნალისტმა მაია კახიძემ გაავრცელა:

– დავლოცოთ საყვარელი გუჯა ბურდული, მალე დახსნოდეს ავადობას. ფილტვების ანთება დაერთო კოვიდის მერე და კლინიკაში გადაიყვანეს. ორჯერ აცრილია და იმედოვნებენ, რომ გადაიტანს ამ მდგომარეობას. უშველის უფალი ამ ძვირფას ადამიანს და დიდებულ მსახიობს.

გუჯა ბურდულის შვილის, რეჟისორ მაია ბურდულის ინფორმაციით კი, მსახიობი უკეთაა:

– გუჯა მამა უკეთაა, წამლის ინტოქსიკაციით მოხვდა რესპუბლიკურის რეანიმაციაში. ლოცვა შეაწიეთ.

## ფოლკლორის ცენტრი სვანური ცეკვის შეურაცხყოფას აპროტესტებს



ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის ცენტრი უცხოელი მოცეკვავეების მიერ სვანური ცეკვის შეურაცხყოფას აპროტესტებს. ვიდეო ინტერნეტში გავრცელდა და მან ქართველ საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია.

– ქართული ცეკვა, ქართულ მრავალხმიან სიმღერასთან ერთად, ჩვენი კულტურის განუყოფელი და ფასდაუდებელი საგანძურია. სამწუხაროდ, ბოლო დროს გახშირდა ქართული ცეკვის მიმართ უდიერი დამოკიდებულება, რაც ზოგიერთ შემთხვევაში შეურაცხყოფაშიც კი გადაიზარდა. კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ მსგავს ფაქტებს, უხეშ ჩარევებს და პლაგიატს ადგილი აქვს საზღვარგარეთ მოღვაწე ქორეოგრაფებისგან.

ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი ინიციატივით გამოდის, ქართული ქორეოგრაფიული საგანძურის გადასარჩენად დაიწყოს ყველა იმ პროცედურის გავლა, რაც მიგვიყვანს იუნესკოს მიერ ქართული ხალხური ცეკვის საერთაშორისო აღიარებამდე და არამატერიალური კულტურული ძეგლის სტატუსის მინიჭებამდე. ამისთვის საჭიროა უძველესი ქართული ქორეოგრაფიული ნიმუშების კვლევა, აღნუსხვა.

ფოლკლორის ცენტრი მზადყოფნას გამოთქვამს, ჩაატაროს ექსპედიციები და ყველა საჭირო მოსამზადებელი სამუშაო, რათა მომავალში აღარ განმეორდეს ქართული ცეკვის შებღალვა და მომავალ თაობებს შევუნარჩუნოთ ჩვენი კულტურა, რაც წინაპრებისგან ხშირად საკუთარი სისხლის ფასად გადმოგვეცა, – ნათქვამია ფოლკლორის ცენტრის ოფიციალურ განცხადებაში.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## მამაკაცმა თვითნაკეთი ანკესით უზარმაზარი ორაგული დაიჭირა

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინას შტატში მეთევზემ თვითნაკეთი ანკესის დახმარებით უზარმაზარი ორაგული დაიჭირა და შტატის 61 წლის რეკორდი მოხსნა.

ტოდ სპანგლერმა უზარმაზარი ორაგული მდინარე ნიუზის შესართავთან დაიჭირა. მისი თქმით, ის დილიდან თევზაობდა მეგობართან ერთად და, როდესაც ანკესს თევზი წამოეგო, თავდაპირველად ის ზოლებიანი ლავრაკი ეგონათ.



– მეგობარს ვუთხარი, რომ ეს თუ ორაგულია, ის ერთ-ერთი ყველაზე დიდი იქნება მათ შორის, რომლებიც კი ოდესმე დამიჭერია, – იხსენებს მამაკაცი, – ის ახლოს მოდიოდა, წრეებს გვარტყამდა, თუმცა საკმაოდ შორს იყო და მის კარგად დანახვას ვერ ვახერხებდით.

ცნობისმოყვარეობის გამო მეთევზეებმა ნადავლის აწონა გადაწყვიტეს. იაფფასიანმა პორტატულმა სასწორმა აჩვენა, რომ ორაგული 5,6 კილოგრამს იწონიდა. მეგობრებმა ადრინდელი რეკორდის მონაცემები ნახეს და მიხვდნენ, რომ თუკი სასწორი სწორ წონას უჩვენებდა, მაშინ მათ ძველი რეკორდი დაამხეს.

სერტიფიცირებული სასწორის გამოყენებით დამატებითმა აწონამ იგივე შედეგი აჩვენა. თევზის სიგრძემ – 85, ხოლო გარშემოწერილობამ 45 სანტიმეტრი შეადგინა.

ასე რომ, სპანგლერმა მოახერხა 1961 წელს დამყარებული შტატის რეკორდის დამხობა. მაშინ დაჭერილი ორაგულის წონამ 5,5 კილოგრამი შეადგინა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ღამის მედიტაციის მონაწილენი ტალღამ ოკეანეში გაიტაცა



ინდონეზიაში ოკეანის სანაპიროზე ღამის მედიტაციის მონაწილეები მას შემდეგ დაიღუპნენ, რაც ისინი ტალღებმა გაიტაცეს.

23 ადამიანისგან შემდგარი ჯგუფი ხელიხელჩაკიდებული იდგა აღმოსავლეთ იავას პროვინციაში მდებარე პაიანგანის პლაჟზე და მედიტირებდა.

– ისინი მეტისმეტად ახლოს იდგნენ ოკეანესთან და ამიტომ თავის გადარჩენა ველარ შეძლეს, როდესაც მოქცევის ტალღამ გაიტაცა, – განმარტა ადგილობრივი პოლიციის ხელმძღვანელმა ჰენრი პურნომომ.

ათი დაღუპულის ცხედარი ოკეანიდან ამოიტანეს, კიდევ 12-ის გადარჩენა მოხერხდა. რიტუალის კიდევ ერთი მონაწილე, 40 წლის მამაკაცი, უგზო-უკვალოდ დაკარგულად ითვლება. ჯგუფს ხელმძღვანელობდა მათი სულიერი მოძღვარი, რომელიც გადარჩა და მას პოლიციის კითხვებზე პასუხების გაცემა მოუწევს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 21 თებერვლისათვის

**ვერძი** – კოლეგებთან და პარტნიორებთან გაუგებრობა თქვენს საქმიანობაზე ნეგატიურად აისახება. სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება. ახალი საქმის დაწყება რეკომენდებული არ არის. **კურო** – ერიდეთ საქმის გარჩევას საყვარელ ადამიანთან. სამსახურში ძალზე ყურადღებიანი და ფრთხილი უნდა იყოთ. **ტყუპები** – კეთილისმყოფელი დღეა. გიმართლებთ ბიზნესში, ვაჭრობაში. გელით მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. **კირჩხიბი** – იზრუნეთ კარიერულ წინსვლაზე. თქვენი მიზანდასახულობა და შრომისმოყვარეობა დაფასდება. **ლომი** – წინააღმდეგობრივი დღეა. შესაძლოა, გეგმები შეგეცვალოთ. დაუფიქრებელ ნაბიჯს ნუ გადადგამთ. **ქალწული** – ყურადღებით იყავით, განსაკუთრებით – სამსახურში. წინდაუხედაობამ, შესაძლოა, დაგაზარალოთ. **სასწორი** – მეგობრები და ახლობლები ნებისმიერ სიტუაციაში დაგეხმარებიან. მიენდეთ მათ. **ღრიანკალი** – ნუ აჩქარდებით. სიტუაცია გულმოდგინედ გააანალიზეთ და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მხოლოდ ამის შემდეგ მიიღეთ. **მშვილდოსანი** – კომერციულ საქმიანობაში გიმართლებთ. ვარსკვლავების განლაგება ამაში გეხმარებათ. **თხის რქა** – თქვენს თავშეკავებასა და გონიერებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ერიდეთ ემოციების გამოხატვას. **მერწყული** – ენერგია გემატებათ. ჯანმრთელობას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. ჩანაფიქრის განხორციელებას ადვილად მოახერხებთ. **თევზები** – ეცადეთ, საკუთარ გრძნობებში გაერკვეთ. თამამად გარისკეთ. ახალი საქმის დაწყებაში პლანეტები ხელს გიწყობენ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა




**შვეულად:** 1. სხვადასხვა ოპერებიდან აღებული მუსიკალური ნაწყვეტებისგან შექმნილი, ძველებური იტალიური ოპერა; 2. ნიდერლანდური ლუდი; 3. ებრაელთა უბანი ძველ თბილისში; 4. მოჩვენებითი მამაცობა; 5. ქართული ხალხური ზღაპარი; 9. მონების ტანზე დასმული დამღა ძველ საბერძნეთში; 11. პატარა თევზსაჭერი გემი; 12. იაპონური მაფია; 14. მოხეტიალე ქართველი მევიოლინე, მომღერალი მამაკაცი; 18. ავი, ანჩხლი დედაკაცი; 19. ნორვეგიელი ენათმეცნიერი, ქართველოლოგი.

**თარაზულად:** 4. დიდი სატრანსპორტო სამგზავრო გემი; 5. ქართველი მგოსანი; 6. ხელის გამომხატველობითი მოძრაობა; 7. მხატვრის, საღებავების შესაზავებელი თხელი დაფა; 8. თევზის საჭერი მოწყობილობა; 10. ტიბეტის ადმინისტრაციული ცენტრი; 13. გურულების, მესხების, აჭარლების ძველებური ჩოხა; 15. ხარებთან ორთაბრძოლა; 16. ემილ ზოლას რომანი; 17. დარიშხანის საბადო ლენტეხის რაიონში; 20. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 21. ინდური კანაფისგან დამზადებული ნარკოტიკი; 22. მსხვილი ფინანსურ-სამრეწველო გაერთიანება; 23. ზოგიერთი მცენარის მიწისქვეშა გამსხვილებული ფესვი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*